2011 წელი, 17 – 23 ნოემბერი
ფასი 1 ლარი



# ახალი განათლება

№35 (549) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

## ჩემო ლექსებო

ჩემო ლექსებო, გქონდეთ ლაღი, მსუბუქი ფრთები,
აყვავებული მდელო, გასაოცარი მთები..

რუსთაველი და მშვიდი? დამშვიდება და ვაჟა?!
ყველას ძიება დიდი, დღეებს მოძავალს ვაშა!

განადგურებულს ძველი სუსხით, ყინვით და თოშით
აწ მარგალიტად გვთვლიან, სხვა ქვებში რომ ვერ გარევ,
გალაკტიონი ხედავს, რა სასწაულებს ახდენს,
იმ უშიშრობას, რითაც სუნთქავს მრავალი ერი,
იმ უბოლოოს მედგარს და საიმედო საყრდენს,
წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევს ვერავითარი მტერი.



საგანმანათლებლო კერა

**კოოპერაციული სასწავლებელი ქუთაისში**

**XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში**

გვერდი 4

მეთოდიკა

**ლექსის სწავლების თავისებურებები**

გვერდი 6

ნააზრევი

**მიხო მოსულიშვილი**

**„ვაჟა-ფშაველა“**

გვერდი 7

## ყურადღება!

**გამოვიდა „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების“ სერიის სამი ახალი ტომი:**
**ალექსანდრე პუშკინი – მოთხრობები**
**სტეფან ცვაიგი – „მოუთმენლობა გულისა“**
**მაინ რიდი – „კვარტერონი“**

გამოცდების ეროვნული ცენტრი

სასერტიფიკაციო გამოცდები

## განვითარებისა და სწავლის თეორიები

მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული

გვერდი 2

მეთოდიკა

## ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ჩატარებულმა სასერტიფიკაციო გამოცდებმა აჩვენა, რომ ფიზიკის მასწავლებლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ ამოცანების ამოხსნა. მათ მიერ მიღებული დაბალი შეფასებები ძირითადად ამ მიზეზით იყო განპირობებული.

წინამდებარე რუბრიკაში შევეცდებით დავეხმაროთ მათ და მივაწოდოთ ტიპური საგამოცდო ამოცანების ამოხსნა მეთოდური მითითებებით. ამოცანები დალაგებულია სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისი თემატური გეგმის მიხედვით.

გვერდი 5

C M Y K

სასერტიფიკაციო გამოცდები

# განვითარებისა და სწავლის თეორიები

## მოკლე ინფორმაცია იმ ავტორების შესახებ, რომელთა ნააზრევის ცოდნაც მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით არის განსაზღვრული



### ჰოვარდ გარდნერი

ამერიკელი ფსიქოლოგი, ჰარვარდის განათლების სკოლის პროფესორი. მისი ცნობილი თეორია მრავლობითი ინტელექტის შესახებ პირველად გამოქვეყნდა 1943 წელს. თეორია აღწერს, თუ როგორ შეიმეცნებს ადამიანი სამყაროს.

გარდნერის თეორიის ცენტრალური ცნებებია: ინტელექტის ტიპი და დასწავლის სტილი.

გარდნერის მიხედვით, ადამიანის ინტელექტი, ანუ ზოგადი გონიერება, ერთი უნარი არ არის და ვერ გაიზომება ერთი საზომით – ინტელექტის შესაფასებელი სკალით. დაბალი, საშუალო და მაღალი ინტელექტის მიხედვით ადამიანების შეფასება მიუღებელია, რადგან ადამიანები ერთმანეთისგან გასხვავდებიან დასწავლის სტილით, უნარებითა და მიდრეკილებებით. გარდნერი მიიჩნევს, რომ ინტელექტი სხვადასხვა უნარების ერთობლიობაა და მათგან გარემოს შესამეცნებლად ყველა მნიშვნელოვანია; თუმცა ყველა ადამიანს ეს უნარები ერთნაირად განვითარებული არა აქვს. ადამიანის შემეცნებითი უნარები მრავალმხრივია და, შესაბამისად, ინტელექტის მოდელიც ამას უნდა ასახავდეს. გარდნერმა შვიდი ძირითადი ტიპის ინტელექტი გამოყო:

- ლინგვისტური
- ლოგიკურ-მათემატიკური
- მუსიკალური
- სხეულებრივ-კინესთეტიკური
- ვიზუალურ-სივრცითი
- ინტერპერსონალური
- ინტრაპერსონალური

გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ ჩამონათვალს გარდნერმა დაამატა ნატურალისტური (ბუნებასთან ურთიერთობა), სულიერი/ეგზისტენციური (რელიგიური) და მორალური (ეთიკური ღირებულებები და სხვ.) ინტელექტი.

გარდნერი მიიჩნევს, რომ ადამიანები ცოდნას უპირატესად იმ გზებითა და საშუალებებით იძენენ, რა ტიპის ინტელექტიც უფრო აქვთ განვითარებული. შესაბამისად, ადამიანის დასწავლის სტილიც ინტელექტის რომელიმე ტიპის უპირატესობით არის განპირობებული. ზოგიერთი ადამიანი პრობლემას უკეთ წყვეტს და ცოდნას იძენს სიტყვიერი ან ლოგიკური და რიცხვითი საშუალებებით (ლინგვისტური და ლოგიკურ-მათემატიკური ტიპი), ზოგიერთს აუცილებლად მხედველობით-სივრცითი წარმოდგენები ესაჭიროება ინფორმაციის გადასამუშავებლად და პრობლემის გადასაწყვეტად; ზოგისთვის სინამდვილის მუსიკალური და რიტმული ასპექტებია მნიშვნელოვანი დასასწავლად, ზოგისთვის კი შეხება და სხეულებრივ-მოტორული საშუალებებია უფრო ინფორმაციული. ამით განსხვავდებიან ერთმანეთისგან მაგ., ლიტერატორი, მეცნიერი, მუსიკოსი და გიმნასტი.

ინტელექტის ყოველ ტიპს შეესაბამება ის ოპერაციები, რომლებსაც ამ ტიპის ინტელექტის ადამიანი უპირატესად იყენებს გარემოს შესამეცნებლად, ინფორმაციის გადასამუშავებლად და ცოდნის მისაღებად. გარდა ამისა, ყოველ ტიპს შეესაბამება თავისი დასწავლის საშუალებები და სტილი. გარდნერის მიხედვით, შესაძლებელია შვიდივე ტიპის ინტელექტის შეფასება და შემეცნების ინდივიდუალური სტილის აღწერა.

ქვემოთ, ცხრილში, მოყვანილია შვიდი ტიპის ინტელექტის აღწერა, მათი შესატყვისი ოპერაციები და დასწავლის საშუალებები.

| ინტელექტის ტიპი | აღწერილობა | შესატყვისი აქტივობები | დასწავლის საშუალებები |
|---|---|---|---|
| **ლინგვისტური** | *ვერბალური უნარი*<br>ენობრივი ინფორმაცია; წერითი და ზეპირი მეტყველება; ინფორმაციის შენახვა, ინტერპრეტაცია და ახსნა ენობრივი საშუალებებით – ცნებებით, სიტყვათა მნიშვნელობებით. | საკითხის შესახებ საუბარი; ტექსტის ანალიზი; ტექსტის რედაქტირება; სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა, კომენტარის გაკეთება მოვლენაზე. | სიტყვები,<br>ენობრივი საშუალებები |
| **ლოგიკურ-მათემატიკური** | *ლოგიკური აზროვნება*<br>მეცნიერული მსჯელობა და დედუქცია; პრობლემის ანალიზი, მათემატიკური გამოთვლები, მიზეზშედეგობრივი მიმართებების დადგენა. | არითმეტიკული ოპერაციები, სხვადასხვა გაზომვები, რაიმე მოქმედების სტრატეგიის შემუშავება, რაიმეს ღირებულების და შედეგების შეფასება, პროცესის დაგეგმვა და მართვა. | ციფრები,<br>ლოგიკური კავშირები |
| **მუსიკალური** | *მუსიკალური უნარი*<br>მუსიკალური ჟღერადობის გამოყენება და სიამოვნების მიღება; ტონალური და რიტმული ნიმუშების ცნობა; გრძნობასა და ბგერებს შორის კავშირის ხედვა. | მუსიკალური შესრულება. მუსიკის შეთხზვა; სიმღერა; მუსიკის შეფასება; ინსტრუმენტზე დაკვრის სწავლა და სწავლება. | მუსიკა,<br>რიტმი |
| **სხეულებრივ-კინესთეტიკური** | *სხეულის ზუსტი მოძრაობების კონტროლი*<br>თითების მოქნილობა, ხელის და თვალის კოორდინაცია, მოტორული მოქნილობა, წონასწორობა და კოორდინაცია. | სპორტის სხვადასხვა სახეობის ტექნიკის დაუფლება; ჟესტების და მიმიკის გამოყენება. | ფიზიკური გამოცდილება,<br>მოძრაობა,<br>შეხება. |
| **მხედველობით-სივრცითი** | *მხედველობითი და სივრცითი აღქმა*<br>ვიზუალური ხატების შექმნა და ინტერპრეტაცია; ხატოვანი წარმოსახვა და ექსპრესია; ხატსა და მნიშვნელობას შორის მიმართების ხედვა. | ხატვა, დიზაინი, მხატვრობის ინტერპრეტაცია, გამოსახულების შექმნა იდეის მიხედვით, ლოგო. | სურათები,<br>ფორმები,<br>სამგანზომილები ანი ხატები. |
| **ინტერპერსონალური** | *სხვათა გრძნობების აღქმა და გაგება*<br>სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ქცევისა და ურთიერთობის ინტერპრეტაციის უნარი, ადამიანებსა და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა. | სხვისი გუნება-განწყობის ინტერპრეტაცია სახის გამომეტყველების მიხედვით; სხეულის ენით გრძნობების გამოხატვა, სხვის გრძნობებზე დაგეგმილი ზემოქმედება. | სოციალური ურთიერთობა,<br>კომუნიკაცია,<br>თანამშრომლობა<br>გუნდური მუშაობა |
| **ინტრაპერსონალური** | **თვითცნობიერება**<br>საკუთარი თავის გაგება, საკუთარი თავის მიმართება სხვებთან და სამყაროსთან, ცვლილებების საჭიროების განცდა, რეაგირება ცვლილებაზე. | პიროვნულ ზრდა-განვითარებაზე ზრუნვა; საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ჩამოყალიბება. | თვითაღქმა,<br>თვითანალიზი,<br>თვითგახსნა. |

გარდნერის თეორიის მიხედვით, ადამიანები განსხვავებულად იღებენ და ინახავენ ერთსა და იმავე ინფორმაციას, ამიტომ მათი სწავლება ინდივიდუალური დასწავლის სტილზე უნდა იყოს მორგებული.

*გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტი*

# სიახლე!

## „ახალი განათლების" რედაქცია სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობს თემატურ პლაკატებს, რეპროდუქციებსა და ქართველ მწერალთა პორტრეტებს

### თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

### თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მზის სისტემა
11. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
12. საქართველოს სამეფო დინასტია
13. ძველი რომი
14. მსოფლიოს დროშები
15. ზღვის დინებები
16. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
17. სამყაროს წარმოშობა
18. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

### ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

**მწერალთა პორტრეტები** (34X47 სმ)

1. ექვთიმე თაყაიშვილი
2. მიხეილ ჯავახიშვილი
3. გიორგი ლეონიძე
4. ტერენტი გრანელი
5. ნიკო ლორთქიფანიძე
6. გრიგოლ რობაქიძე
7. ირაკლი აბაშიძე
8. ლადო ასათიანი
9. ნოდარ დუმბაძე
10. მირზა გელოვანი
11. აკაკი ბაქრაძე
12. ვასილ ბარნოვი
13. პაოლო იაშვილი
14. ტიციან ტაბიძე
15. სულხან-საბა ორბელიანი
16. ნიკოლოზ ბარათაშვილი
17. იოსებ გრიშაშვილი
18. პოლიკარპე კაკაბაძე
19. გურამ რჩეულიშვილი
20. იაკობ ხუცესი
21. იოანე საბანისძე
22. კონსტანტინე გამსახურდია
23. დავით გურამიშვილი
24. ბესიკი
25. მურმან ლებანიძე
26. რევაზ ინანიშვილი
27. ალექსანდრე ყაზბეგი
28. ალექსანდრე ჭავჭავაძე
29. იაკობ გოგებაშვილი
30. დავით კლდიაშვილი
31. აკაკი წერეთელი
32. რუსთაველი
33. ვაჟა-ფშაველა
34. თეიმურაზ I
35. ვახტანგ VI
36. გიორგი მერჩულე
37. ილია ჭავჭავაძე
38. გრიგოლ ორბელიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

### ხელოვნების კაბინეტისთვის

**რეპროდუქციები**

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. იმპრესიონისტების სურათები 10 დასახელება
3. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
4. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
5. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
6. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
7. მენინები - ველასკესი
8. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
9. მხატვრის ბაღი -კლოდ მონე
10. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
11. საქანელა - რენუარი
12. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

საგანმანათლებლო კერა

# კომერციული სასწავლებელი ქუთაისში

## XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში

ქუთაისი, როგორც მისი წარსული ისტორია მოგვითხრობს, ყველა დროში ქვეყნისა და ხალხის სამსახურში იყო. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ სოციალური პროგრესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მატერიალურ პირობებზე. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკურმა განვითარებამ XIX-XX საუკუნეებშიც ისეთივე ცხოვრებისეული სირთულეები გამოიწვია, როგორიც დღეს. ასეთი პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელი იყო მუშაობის გააქტიურება. ამის წინაპირობა იყო ჩამოყალიბებული საღი აზროვნება, მეცნიერულად და სოციოლოგიურად გააზრებული სასწავლო ბაზები. უნდა შექმნილიყო შესაბამისი მდგომარეობა და გაგვეზიარებინა აუცილებელი სამეცნიერო რეკომენდაციები, რაც გააადვილებდა გარდაქმნის რეფორმების განხორციელებას.

ასეთი იდეებისადმი ხელისშეწყობის სურვილით იყო ნაკარნახევი ზოგიერთი მოსაზრებისა და სიახლის შემოთავაზება მაშინდელ ქუთაისში. ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო და ეს, უპირველესად, სწავლების ახალ ფორმებს უნდა დაკავშირებოდა, განსაკუთრებით კომერციულ სწავლებას, რომლის კრიზისს ნამდვილად განიცდიდა მთლიანად საქართველო და ეს საკითხი მწვავედ იდგა ქუთაისშიც.

თუ ახალგაზრდების უმეტესობა საქმიანი და განათლებული გახდებოდა, შემოქმედების, თავისუფალი შრომისა და კომერციის საშუალება მიეცემოდათ. ხალისიანი შემოქმედების პირობებში, ყოველგვარი შიშისაგან გათავისუფლება მათ სიმდიდრის დაგროვებისა და ქვეყნის აღორძინების საშუალებას მისცემდა.

მაგრამ ყველა ამ პროცესს წინ უძღოდა აუცილებელი განათლების მიღება, კერძოდ, კომერციის სწავლება. ასეთი თეორიული და პრაქტიკული ცხოვრების ქარიშხალში, ამ დროისათვის, ჩაება ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ქუთაისის მკვიდრი იყო და თავიდანვე მომხრე იყო არა მარტო კლასიკური, არამედ რეალური განათლების მიღებისა, რომელიც კომერციული საქმიანობის დედაბოძად მიაჩნდა.

*„როცა ხდებოდა ღირებულებათა რადიკალური გადაფასება, ათასწლოვან სოციალურ, პოლიტიკურ და დოგმატურ თეორიულ ბურჯებს ეჯახებოდნენ სულ ახალგაზრდა, ნორჩი ძალები, რომლებსაც ზღაპრული დანკითის გულთან ერთად იონელი ბრძენის გონება და ლომის გამბედაობა მოსდგამდათ. ისინი განათლებულები იყვნენ, როგორც მეცნიერები, ხოლო ბრძოლაში უშიშარნი, როგორც სპარტაკის შემდეგდროინდელი პირველი ქრისტიანები,“* – ასე ახასიათებდა ნიკო ნიკოლაძესა და სხვა მოწინავე ახალგაზრდებს, მათ დამოკიდებულებას ყოველგვარი ახლისადმი აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე.

გიორგი ჯიბლაძე ღრმად აანალიზებს, ფართო ცოდნით, სერიოზულობით, პიროვნებებისადმი იმედითა და სიყვარულით აშუქებს იმდროინდელ მოვლენებს და ნათლად გვიჩვენებს, რომ იმ პერიოდში, ამ თვალსაზრისით, უდიდესი იყო ნიკო ნიკოლაძის როლი და მნიშვნელობა.

ნიკო ნიკოლაძე ადამიანის თავისუფალი შრომის დიდი აპოლოგეტი, ქართველ „რაზნოჩინელთა“ თანავარსკვლავედის პირველი ლიდერი, კომერციული ნიჭის გულწრფელი მეხოტბე და დიდი თაყვანისმცემელი იყო. იგი მხოლოდ სწორად წარმართულ კომერციულ საქმიანობაში ხედავდა ქვეყნის ხსნას. მისი შეხედულებით, არ არსებობს რაიმე დაბრკოლება, რომლის გადალახვა გონების ძალას და შრომას არ შეუძლია. ნიკო ნიკოლაძის აზრით, თავისუფალი შრომა წარმოადგენს ადამიანის ნამდვილი არსებობის, მისი ღირსეულად აღზრდის, გონებრივ, ფიზიკურ და მორალურ მხარეთა განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას.

მაგრამ ეს შრომა სწორად უნდა იყოს ორგანიზებული, რაც საქმის ღრმა ცოდნითაა შესაძლებელი. ორგანიზაცია კი შრომას გონებამ და დაგროვილმა ცოდნამ უნდა მიანიჭოს. თუ ახალგაზრდა უაზროდ შრომობს, იქიდან არაფერი გამოვა. მაგრამ თუ შრომობს და შედეგს შეუცდომლად წინასწარ საზღვრავს, მაშინ მის კომერციულ ნიჭში ეჭვის შეტანა აღარ შეიძლება. არა მარტო ნიკო ნიკოლაძე, არამედ ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებიც ამ შეხედულებებით ხელმძღვანელობდნენ. ისინი, ბურჟუაზიული ყოფის პირობებში, თავგამოდებით იბრძოდნენ ქუთაისში კომერციული სასწავლებლის გასახსნელად. მათი სურვილი იყო, ქუთაისსაც აეწყო ფეხი მსოფლიოს მაჯისცემისათვის. და აი, ამ სურვილის განხორციელების დღეც დადგა.

1915 წლის 11 ოქტომბერს, კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით, ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნა და აკურთხეს რვაკლასიანი კომერციული სასწავლებელი, რომელიც განთავსდა თბილისის (ამჟამად თამარ მეფის) ქუჩაზე მდებარე ა. ეზიკაშვილის მემკვიდრეთა ბინაში.

დაწესებულების გახსნისას, პირველ რიგში, აქცენტი კეთდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, შემოქმედებით პოტენციალსა და მომუშავე პერსონალის პროფესიონალიზმზე. როცა რომელიმე დარგს სახელმწიფო აფინანსებს, ის აუცილებლად უნდა ამართლებდეს თავის არსებობას...

სასწავლებლის კურთხევას დაესწრნენ: ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებული სასწავლო განყოფილების გამგე ა. ოგარიო, საქართველოს ეგზარქოსი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი დ. ნიჟარაძე, იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი, ქუთაისის გუბერნატორი, ქალაქის თავი ი. ჩიქოვანი, ქუთაისის გუბერნიაში კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე, ამ სასწავლებლის გახსნის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ცნობილი პედაგოგი რ. დათეშიძე, სამზრუნველო საბჭოს წევრები: ტ. ჯაფარიძე, ი. პურადაშვილი და სხვები.

სასწავლებელი საშუალო ტიპის სასწავლებელთა კატეგორიას ეკუთვნოდა. მისი მიზანი იყო მოსწავლეთათვის ზოგადი და კომერციული საშუალო განათლების მიცემა.

სასწავლებელი უშუალოდ ემორჩილებოდა და სახელმძღვანელო დირექტივებს იღებდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგან. ამ უკანასკნელის ნებართვით, აქვე, პანსიონიც გაიხსნა. ეს, გარკვეულწილად, პოლიტიკური ნაბიჯიც იყო. მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის უნდა შექმნილიყო კომერციული კადრები, რაც ძალიან აკლდა ქუთაისს. აღსანიშნავია, რომ, ამ მხრივ, მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტების ნაკლებობას დღესაც განიცდის ჩვენი ქალაქი. ხელოვნების სკოლა მცირე დოზით იძლევა კომერციულ განათლებას, მაგრამ, სასურველია, ცალკე სკოლა თუ არა, ერთი ჯგუფი მაინც გაიხსნას უფრო ღრმა კომერციული ცოდნის მისაღებად, რათა თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება ერთმანეთს შეუთავსდეს.

სხვადასხვა სახის შრომას, როგორც დამოუკიდებელ სასწავლო საგანს, „პრაქტიკული კომერციული მუშაობა“ ეწოდებოდა, რადგანაც იმ დროს სკოლათა უმეტესობას არც სახელოსნო ლაბორატორიები ჰქონდა და არც სხვა დამხმარე კომერციული ინსტრუმენტები.

სასწავლებელთან შეიქმნა ბიბლიოთეკა, იქვე იყო ფიზიკის კაბინეტი, სანიმუშო საგნების მუზეუმი, ლაბორატორია – მოსწავლეთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის ქიმიასა და საქონელმცოდნეობაში, აგრეთვე, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ხაზვის, ტანვარჯიშისა და სხვა სასწავლო დისციპლინების კაბინეტები. სასწავლებელში იღებდნენ ვაჟებს, განურჩევლად სარწმუნოებისა და წოდებისა. ჰქონდათ ორი მოსამზადებელი კლასი, თავიანთი განყოფილებებით. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 8 წლით. თითოეულ კლასში გათვალისწინებული იყო 40 მოსწავლე. თუ მოსწავლეთა კონტინგენტი მეტი აღმოჩნდებოდა, სამინისტროს ნებართვით, შეიძლებოდა პარალელური კლასების გახსნა.

პერსპექტივაში, სახელმწიფო ბიუჯეტი განათლების ყველა ობიექტს ვერ დააფინანსებდა. მათ თვითონ უნდა მოეძიათ დაფინანსების წყარო, რომ მომავალში შეძლებოდათ სრულფასოვანი ფუნქციონირება. ძალზე მნიშვნელოვანი იყო სკოლის გადასვლა პროგრამულ ბიუჯეტზე, რომელიც მათ სპეციალური პროგრამების შემუშავების საშუალებას მისცემდა როგორც პროფესიული, ისე ხალხური ხელოვნების, განსაკუთრებით, ოქრომჭედლობის, გიშრის წარმოების, ქვისა და ხის მხატვრული დამუშავების, უნაგირებისა და მისი მოსართავი ტყავების და სხვა სახელოსნო ქსელის მხარდასაჭერად.

მაშინდელი პოლიტიკა განსაზღვრავდა, პირველ რიგში, იმ პროექტების მხარდაჭერას, რომლებიც, ერთი მხრივ, განსაზღვრავდა ქვეყნის, რეგიონისა და თუნდაც ერთი ქალაქის სახელსა და ავტორიტეტს და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობდა ეკონომიკურად მდგრადი და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბებას.

იკითხებოდა ლექციები ოპტიმიზაციის, დარგების რაოდენობის განსაზღვრის, მათი შენარჩუნების, დროთა განმავლობაში ლიკვიდაციის ან ახლის დაარსებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, იმ დროის შესაფერის მოთხოვნათა და დარგის განვითარების სტრატეგიის შესაბამისად.

დროთა განმავლობაში, გეგმაზომიერად უნდა მიმართულიყო უდიდესი ძალისხმევა სამუშაო ქსელის გადახალისებაზე, მის განლაგებაზე. მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა გზების, სახელოსნოების კეთილმოწყობას, ადგილმდებარეობისა და პედაგოგების მაღალ დონესა და მომზადებას.

დაგეგმილი იყო, პერიოდულად თუ ერთბაშად, შექმნილიყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებდა თანამედროვე სტანდარტებს. უნდა ჩამოყალიბებულიყო მართვის მოქნილი სისტემა.

სკოლას ყურადღება უნდა მიექცია ეროვნული, რეგიონული თუ ეთნიკური თვითმყოფადობისათვის, ამიტომ, ბუნებრივია, ყველაფერი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით უნდა გაკეთებულიყო.

ეროვნული კულტურის გვერდით, კარი უნდა გაღებოდა შედარებით ახალშექმნილ დისციპლინებს: მოდას, დიზაინს, სარეკლამო საქმიანობას, ფოტოხელოვნებას, სასუვენირო წარმოებას, მხატვრულ ხელსაქმეს და ა. შ.

სასწავლებელში ისწავლებოდა შემდეგი საგნები: ღვთისმეტყველება, რუსული ენა და სიტყვიერება, ფრანგული და გერმანული ენები, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა (არითმეტიკა, ალგებრა, ანალიზური გეომეტრია), კოსმოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, კომერციული არითმეტიკა, ბუღალტერია (თეორიული და პრაქტიკული), პოლიტიკური ეკონომია, კანონმცოდნეობა (უპირატესად – სავაჭრო და სამრეწველო), ქიმია, საქონელმცოდნეობა (ტექნოლოგიით) და, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობა ლაბორატორიაში (ქიმიისა და საქონელმცოდნეობის განხრით).

სასწავლებლის პირველ კლასში იღებდნენ მხოლოდ იმ მოსწავლეებს, რომელთა ცოდნა რეალური სასწავლებლის პირველი კლასის მოსწავლეთა ცოდნას უტოლდებოდა. მიღების უპირატესობით სარგებლობდნენ ვაჭართა საზოგადოების წევრთა შვილები.

უმცროს მოსამზადებელ განყოფილებაში 8-10 წლის ასაკის ბავშვები ხვდებოდნენ, უფროს განყოფილებაში კი – 9-11 წლის ასაკისანი. მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებში მოსწავლეებს იღებდნენ მხოლოდ პედსაბჭოს დადგენილების წარდგენითა და სასწავლებლის ინსპექტორის (სასწავლო-საოლქო დარგში) ნებართვით.

მისაღები გამოცდების პროგრამას ადგენდა სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო, რომელსაც ამტკიცებდა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო. მოსწავლეთა საერთო მიღება ხდებოდა სასწავლო წლის დასაწყისში ან დასასრულს. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლეებს იღებდნენ სასწავლო წლის პირველ ნახევარში.

სწავლის ქირას და პანსიონის შესანახ თანხას აწესებდა სასწავლებლის სამზრუნველო საბჭო, რომელსაც ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო ამტკიცებდა. საბჭო შედგებოდა თავმჯდომარისა და 11 წევრისაგან, რომელთაც ორი წლის ვადით ირჩევდნენ ქალაქის სავაჭრო საზოგადოების საერთო კრებაზე. დირექტორსა და სასწავლებლის ინსპექტორს პედაგოგიური კოლექტივი ირჩევდა.

სამზრუნველო საბჭო უფლებამოსილი იყო, საპატიო წოდება მიენიჭებინა ამა თუ იმ პიროვნებისათვის, ვისაც შესაფერისი დამსახურება ჰქონდა სასწავლებლის წინაშე. ამავე დროს, ის სამზრუნველო საბჭოს წევრადაც ითვლებოდა. თავის მხრივ, სამზრუნველოს წევრები 4 წლით ირჩევდნენ მდივანს. როგორც წესი, მდივნის მოვალეობის შესრულება დირექტორს არ შეეძლო.

სამზრუნველო საბჭო, თვეში ერთხელ, იწვევდა კრებას. ამა თუ იმ საკითხის შესახებ გადაწყვეტილება გამოჰქონდათ ხმის უმრავლესობით. თანაბარი რაოდენობის ხმების შემთხვევაში, გადამწყვეტი იყო თავმჯდომარის ხმა.

სასწავლებელს უშუალოდ განაგებდა დირექტორი, რომლის კანდიდატურის წამოყენების უფლება ჰქონდა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულს, რომელსაც კომერციულ სასწავლებელში მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის სტაჟი უნდა ჰქონოდა. დირექტორს ამტკიცებდა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი. თუ სკოლაში 200-ზე მეტი მოსწავლე ისწავლიდა, ამ შემთხვევაში, დირექტორს უნიშნავდნენ ინსპექტორს, რომელიც დირექტორის მოვალეობას ამ უკანასკნელის სკოლაში არყოფნის ან ავადმყოფობის დროს ასრულებდა. ამგვარად, იგი დირექტორის მოადგილედ ითვლებოდა.

ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებლებს კვირაში ორი გაკვეთილის ჩატარება შეეძლოთ, ხოლო სპეციალური საგნების მასწავლებლებს – ექვსის.

ვინც სასწავლებლის ექვს კლასს წარჩინებით დაასრულებდა, პირველი რანგის მოსამსახურის წოდებას მიიღებდა და ნებისმიერ დაწესებულებაში ყოველგვარი გამოცდის გარეშე შეეძლო მუშაობა. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით, თუ სასწავლებელში გოგონები ჩაირიცხებოდნენ, წარჩინებით კურსდამთავრებული მიიღებდა ატესტატს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას უფლება აქვს, შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში (ქალთა გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების თანაბრად). მოსწავლეს, რომელიც წარმატებით დაასრულებდა სასწავლებელს, ანიჭებდნენ კომერციის კანდიდატის წოდებას და აჯილდოებდნენ ოქროს და ვერცხლის მედლით.

ინსტრუქციით, სასწავლებელს ჰყავდა ექიმი და კანცელარიის მდივანი. მათ დირექტორი ნიშნავდა.

მასწავლებელს კანონით ეკრძალებოდა თავისი მოსწავლის კერძოდ მომზადება. საერთოდ, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტდა პედაგოგიური საბჭო დირექტორის თავმჯდომარეობით. პედსაბჭოს შემადგენლობაში, დირექტორთან ერთად, შედიოდა სასწავლებლის ინსპექტორი, პედპერსონალი, ექიმი და სამზრუნველო საბჭოს ერთი წევრი.

კომერციულ სასწავლებელს ჰქონდა ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულებით და წარწერით – „ქუთაისის რვაკლასიანი კომერციული სასწავლებელი“. სასწავლებელს უფლება ჰქონდა, საზღვარგარეთიდან უბაჟოდ გამოეწერა სამხატვრო და სასწავლო ნივთები, საქონლის ნიმუშები, მიეღო ყოველგვარი შემოწირულობა ცალკეული მოქალაქისა და დაწესებულებისაგან.

სასწავლებელი არსებობდა კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სახსრებით, სწავლის ქირით და კერძო პირთა და დაწესებულებათა შემოწირულობებით. მისი დახურვის შემთხვევაში, სასწავლებლის წესდების ასლი, არქივი და ყოველგვარი მიმოწერა, რომელიც მოსწავლეებს ეხებოდა, როგორც წესი, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სასწავლო განყოფილებას ბარდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ახალგახსნილ კომერციულ სასწავლებელში მილოცვის უამრავი დეპეშა მივიდა არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ რუსეთის იმპერიის მსხვილი სამრეწველო და კულტურული ცენტრებიდანაც.

საინტერესო მისალოცი დეპეშები გამოუგზავნეს სასწავლებლის გახსნის ერთ-ერთ ორგანიზატორს, სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარეს – პედაგოგ რ. დათეშიძეს, მაგალითად, სასწავლო ოლქის მზრუნველი და ეპისკოპოსი ლეონიდე წერდა: *„რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძეს! სულით და გულით გილოცავთ თქვენ და ყველა თქვენ თანამშრომელს კომერციული სასწავლებლის გახსნას, ვუსურვებ კომერციული განათლების ამ ახალ*

კერას წარმატებებს და ყველა მიმართულებით მტკიცე პოზიციების გამაგრებას. ის არის თქვენი მშობლიური მხარის სიამაყე, ახლა თქვენ ძალზე ბევრი საზრუნავი გაქვთ, რათა მტკიცე პოზიციებზე დადგეს თქვენი ახალშექმნილი სასწავლებელი, როგორც საფინანსო, ისე სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის მხრივ. სასწავლებლისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ღირსეული დირექტორის შერჩევას. დირექტორად უნდა შეარჩიოთ ყველაზე ღირსეული პედაგოგთაგანი, რომელიც სასწავლო ოლქიდან მიიღებდა რეკომენდაციას. ასეთი პედაგოგის შესახებ თქვენ უნდა შეაგროვოთ ცნობები და მათს თხოვნებთან ერთად გამოგზავნოთ სასწავლო ოლქში. სანამ დირექტორს შეარჩევდეთ, სასურველი იქნება, დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნოთ საქმეში ჩახედული და გამოცდილი პედაგოგი, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული ცირკულარული დირექტივებითა და პროგრამით. გისურვებთ წარმატებებს საკუთარი მიზნების მიღწევაში! პატივისცემით – სასწავლო ოლქის მზრუნველი.“

საინტერესო დეპეშა გამოუგზავნა რ. დათეშიძეს ეპისკოპოსმა ლეონიდემაც: „უკომერციოდ ცხოვრება არ არსებობს. კომერციის მდგომარეობა მხარეში ერთგული მაჩვენებელია მოსახლეობის კულტურის დონისა. ამიტომ კომერციული ცოდნის შეტანა ხალხთა მასებში, მათში კომერციული განათლების დანერგვისათვის ზრუნვა სასიხარულო ნაბიჯია ხალხის კეთილდღეობის განსამტკიცებლად. ბედნიერია ის ხალხი, რომელიც დაადგა პროგრესის გზას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს უკეთესი მერმისისათვის სწრაფვას.

მზრუნველად მივესალმები კომერციული სასწავლებლის გახსნას. კურთხეული იყოს მისი საქმიანობა, ჩემს ძვირფას თანამემამულეთა საკეთილდღეოდ! ეპისკოპოსი ლეონიდ.“

მართალია, აღნიშნული სასწავლებლის გახსნას ქუთაისში კომერციული საქმიანობის გააქტიურება დიდად არ მოჰყოლია, მაგრამ მაინც შეასრულა დადებითი როლი. თითქოს ქუთაისმაც მაშინდელი მოწინავე მსოფლიოსათვის ფეხის აწყობა სცადა. ყოველგვარი მცდელობა კომერციული საქმიანობის გააქტიურებისა აუცილებელი იყო ქალაქისა და ქვეყნის განვითარებისათვის.

**ლია გაბუნია**
*ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი*

**გურამ გაბუნია**
*სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი*

## მეთოდიკა

# ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

### სხეულების წონასწორობა

**ამოცანა 15.**

ერთგვაროვანი ღერო ეყრდნობა ვერტიკალურ კედელს და ჰორიზონტალურ იატაკს. კედელთან ხახუნის კოეფიციენტი $\mu_1$=0,5-ს, იატაკთან - $\mu_2$=0,4-ს. გავიგოთ ჰორიზონტისადმი ის მინიმალური კუთხე α, რომლის დროსაც ღერო ჯერ კიდევ წონასწორობაში იქნება.

*ამოხსნა:*




$\overrightarrow{N_2}$ ღეროს წონასწორობისთვის სურათზე გამოსახული ძალების $(m\vec{g}, \overrightarrow{N_1}, \overrightarrow{N_2}, \overrightarrow{F_{ხ1}}$ და $\overrightarrow{F_{ხ2}})$ ტოლქმედი ნულის ტოლია:

$m\vec{g} + \overrightarrow{N_1} + \overrightarrow{N_2} + \overrightarrow{F_{ხ1}} + \overrightarrow{F_{ხ2}} = 0$, ამ ვექტორული განტოლების ჰორიზონტალურ (მარცხნიდან მარჯვნივ) და ვერტიკალურ (ქვევიდან ზევით) მიმართულებებზე დავაგეგმილებთ, მივიღებთ:

$N_1 - F_{ხ2} = 0$ და $F_{ხ1} + N_2 - mg = 0$.

მაგრამ $F_{ხ1} = \mu_1 N_1$ და $F_{ხ2} = \mu_2 N_2$.

ამის გათვალისწინებით მივიღებთ:

$N_1 - \mu_2 N_2 = 0$ (1) და

$\mu_1 N_1 + N_2 - mg = 0$ (2).

როგორც ვხედავთ მიღებული განტოლებები არ არის საკმარისი ამოცანის ამოსახსნელად, ამიტომ განვიხილოთ ღეროს წონასწორობა მისი იატაკთან შეხების წერტილში (A) გამავალი ბრუნვის ღერძის მიმართ მომენტების წესის გამოყენებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთგვაროვნების გამო სიმძიმის ძალა ღეროს შუაშია მოდებული და ღეროს სიგრძეს *l*-ით აღვნიშნავთ, მივიღებთ კიდევ ერთ წონასწორობის განტოლებას:

$mg\frac{1}{2}\cos\alpha = F_{ხ1} l\cos\alpha + N_1 l\sin\alpha$ ამ განტოლებიდან $tg\alpha = \frac{mg - 2F_{ხ1}}{2N_1}$ (1)-დან $N_1 = \mu_2 N_2$, (2)-დან $mg = \mu_1 N_1 + N_2$. ამიტომ $mg = \mu_1\mu_2 N_2 + N_2 = (1+\mu_1\mu_2)N_2$ და $F_{ხ1} = \mu_1\mu_2 N_2$. საბოლოოდ მივიღებთ:

$$tg\alpha = \frac{(1+\mu_1\mu_2)N_2 - 2\mu_1\mu_2 N_2}{2\mu_2 N_2} =$$

$$= \frac{1-\mu_1\mu_2}{2\mu_2} = 1$$ ე.ი. α=45°.

**ამოცანა 16.**

2 კგ მასის ერთგვაროვანი ღერო ერთი ბოლოთი აწვება კუთხეს კედელსა და იატაკს შორის, მეორე ბოლოთი დამაგრებულია საკიდზე ძაფის მეშვეობით ისე, რომ ღერო ქმნის 30°-იან კუთხეს ჰორიზონტალური იატაკთან და მართ კუთხეს ძაფის მიმართ (იხ. სურათი). ვიპოვოთ ძაფის და საყრდენის დრეკადობის ძალები.




*ამოხსნა:*

ჯერ ვიპოვოთ ძაფის დრეკადობის ძალა (F) კუთხის A წერტილის მიმართ ძალების მომენტების ალგებრული ჯამის ნულთან ტოლობის პირობის მეშვეობით:

$Fl - \frac{mgl}{2}\cos\alpha = 0$. აქედან

$F = \frac{mg}{2}\cos\alpha = 5\sqrt{3}$ ნ.

ახლა განვიხილოთ ღეროს წონასწორობის პირობა მასზე მოქმედი ძალების ტოლქმედის ნულთან გატოლებით:

$\vec{F} + \overrightarrow{mg} + \overrightarrow{N_1} + \overrightarrow{N_2} = 0$ (1). ამ განტოლებაში $\overrightarrow{N_1}$ და $\overrightarrow{N_2}$ კედლის და იატაკის მხრიდან ღეროზე მოქმედი დრეკადობის (ნორმალური რეაქციის) ძალებია. ამ ძალების ტოლქმედის მოდული $N = \sqrt{N_1^2 + N_2^2}$ წარმოადგენს სრული რეაქციის ძალას და მის მიმართულებას ვიპოვით ძალების წონასწორობის პირობიდან: წონასწორობისას ძალების მოქმედების წირები ერთ წერტილზე უნდა გადიოდეს (იხ. სურათზე წყვეტილი წირები და ძაფის მიმართულება). ჩვენი მიზანია $N_1$-ის და $N_2$-ის განსაზღვრა. ამისათვის განვიხილოთ (1) განტოლების გეგმილები იატაკის და კედლის გასწვრივ მიმართულებებზე:

$N_2 - F\sin\alpha = 0$ (2)

და $N_1 - mg + F\cos\alpha = 0$ (3). (1)-დან

$N_2 = F\sin\alpha = 5\sqrt{3}\cdot 0,5 = 2,5\sqrt{3}$ ნ.

(3)-დან

$N_1 = mg - F\cos\alpha = 20 - 5\sqrt{3}\cdot\frac{\sqrt{3}}{2} = 12,5$ ნ.

ახლა განვსაზღვროთ სრული რეაქციის ძალა:

$N = \sqrt{156,25 + 18,75} \approx 13,2$ ნ.

ამ ძალის მიმართულების გასაგებად *β*-თი აღვნიშნოთ კუთხე N-ისა და ჰორიზონტალურ მიმართულებებს შორის, მაშინ

$tg\beta = \frac{N_1}{N_2} = \frac{12,5}{2,5\sqrt{3}} \approx 2,9$ ნ. და *β*=71°.

**ამოცანა 17.**

R=0,6 მ რადიუსის მქონე თხელ ერთგვაროვან დისკოდან ამოჭრეს 0,3მ რადიუსიანი ხვრელი. დისკოს ცენტრიდან რა მანძილზე აღმოჩნდება მიღებული ფირფიტის (იხ. სურათი) მასათა ცენტრი?




*ამოხსნა:*

ცხადია, რომ დისკოდან ხვრელის ამოჭრისას მიღებული ფირფიტის მასათა ცენტრი გადაინაცვლებს დისკოს ცენტრიდან x მანძილზე დისკოს ხვრელის ცენტრების შემაერთებელი $O_1O_2$ ჰორიზონტალური მონაკვეთის გასწვრივ. რადგან დისკოს ამოჭრილი ნაწილის ისევ ხვრელში მოთავსებით აღდგენილი დიდი დისკოს მასათა ცენტრი მის ცენტრში მდებარეობს (წერტილი O). ამიტომ განვიხილავთ ორი სხეულის, ფირფიტისა, რომელიც სურათზე მუქი ფერითაა გამოსახული, და ამოჭრილი პატარა ფირფიტის წონასწორობას O წერტილის მიმართ. ამ წერტილის მიმართ $\overrightarrow{mg}$ ძალის მომენტი ტოლი უნდა იყოს $\overrightarrow{m_1 g}$ ძალის მომენტის: $mgx = \frac{m_1 gR}{2}$, სადაც m არის ფირფიტის მასა, $m_1$ ამოჭრილი მცირე დისკოს მასა, x - საძიებელი მანძილი. ამ ფორმულიდან $x = \frac{m_1 R}{2m}$, თუ გავითვალისწინებთ, რომ $m_1 = \rho\pi\frac{R^2}{4}h$, სადაც ρ დისკოს მასალის სიმკვრივეა, h-დისკოს სისქე. ანალოგიური ფორმულით შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ფირფიტის მასა, როგორც დიდი და მცირე დისკოების მასების სხვაობა:

$m = \rho\pi R^2 h - \rho\pi\frac{R^2}{4}h = \frac{3}{4}\rho\pi h R^2$.

$m_1$ და m-ის x-ის გამოსათვლელ ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

$x = \frac{\rho\pi h R^2 R}{6\rho\pi h R^2} = \frac{R}{6} = 0,1$ მ.

***ამოცანა 18***

ბეტონის ძელს აკავებენ ორი ღეროს (A და B) მეშვეობით (იხ. სურ.1). ძელის მასათა ცენტრიდან რა მინიმალურ x მანძილზე უნდა მდებარეობდეს ქვედა A ღერო, რომ ძელი წონასწორობაში იყოს? ღეროებს შორის მანძილია a, ხახუნის კოეფიციენტია μ, ძელის ჰორიზონტისადმი დახრის კუთხე α-ს ტოლია.




სურ. 1




სურ. 2

*ამოხსნა:*

გამოვსახოთ ძელზე მოქმედი ყველა ძალა, სიმძიმის, ღეროებთან მოქმედი დრეკადობის და ხახუნის ძალები (იხ. სურ. 2). წონასწორობის შემთხვევაში ამ ძალების გეგმილების ჯამი ძელის გასწვრივ მიმართულებაზე:

$F_{ხ1} + F_{ხ2} - mg\sin\alpha = 0$ ვიცით, რომ $F_{ხ1} = \mu N_1$, და $F_{ხ2} = \mu N_2$, ამიტომ

$mg\sin\alpha = \mu N_1 + \mu N_2$ (1). $N_1$ და $N_2$-ის გასაგებად დავწეროთ მომენტების განტოლება A და B წერტილების მიმართ:

$mgx\cos\alpha - N_1 a = 0$ (2) და

$mg(x+a)\cos\alpha - N_2 a = 0$ (3).

(2)-დან განვსაზღვროთ $N_1$, (3) -დან $N_2$:

$N_1 = \frac{mgx\cos\alpha}{a}$, $N_2 = \frac{mg(x+a)\cos\alpha}{a}$

ეს მნიშვნელობები ჩავსვათ (1) -ში:

$mg\sin\alpha = a\frac{mg\cos\alpha(2x+a)}{a}$.

ამ გამოსახულებიდან x-ის ამოხსნით მივიღებთ:

$x = \frac{a}{2(\frac{tg\alpha}{\mu} - 1)}$. მიღებული შედეგის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც tgα=μ, x=0. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთი დახრის კუთხის შემთხვევაში ძელი არ ჩამოსრიალდება, თუ მისი სიმძიმის ძალის მოქმედების წირი ქვედა საყრდენზე გადის.

**თეიმურაზ გაჩეჩილაძე**
*აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე*

**„ახალი განათლების“ №31-ში გამოქვეყნებულ მასალაში აღმოჩენილი შეცდომის გასწორება**

მე-8 ამოცანის ამოხსნის ბოლო ორი სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს:

$a = \frac{v^2}{R} = \frac{900}{1000} = 0,9$ მ/წმ².

სრულ აჩქარებას გამოვიანგარიშებთ ფორმულით:

$a = \sqrt{0,5^2 + 0,9^2} \approx 1$ მ/წმ².

მეთოდიკა

# ლექსის სწავლების თავისებურებები

დღეს, როგორც არასდროს, ისეა აუცილებელი სწავლების წარმართვა თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდებით, რაც, საგნის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად, ითვალისწინებს: მოსწავლეთა ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შექმნას, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობით, სხვისი მოსაზრების მოსმენისა და გათვალისწინების ფონზე, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ლექსის სწავლების ხერხებისა და მეთოდების სწორად შერჩევა, რათა შესასწავლი მასალა ერთიანად აღიქვან მოსწავლეებმა და არ მოხდეს მისი დანაწევრება-პერიფრაზირება. რადგან სასწავლო პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ახლის ძიებას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ლექსის სწავლების განსხვავებული ვარიანტები; პოეტის ადგილი ქართულ მწერლობაში, ლექსის შექმნის ფონი, ეპოქა, გამოყენებული მხატვრული ხერხები და ლირიკული გმირის პიროვნული თვისებები.

ლექსის სწავლებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორი დიქციით წაიკითხავს მასწავლებელი, რა ემოციას გამოიწვევს მოსწავლეებში, რა იქნება „ახალი“ „აღმოსაჩენი“, „საძიებელი“ აღქმისა და ინტერპრეტაციისათვის. ე.ი. მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს ესთეტიკური ტკბობა, იგრძნოს მხატვრული სიტყვის ხიბლი და გაარკვიოს, რა არის „მსმენელთათვის დიდი მარგი“ და საამო ამ „სიბრძნის დარგში“. ლექსის ემოციური ძალის საშუალებით ხდება მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა. ლირიკული შედევრები უნდა დამუშავდეს მთლიანობაში, ფორმისა და შინაარსის ერთიანობაში. მოსწავლეებს უნდა განვუვითაროთ დაკვირვების, მწერლის ჩანაფიქრის გაგების, ლირიკული გმირის სულში წვდომის, ქვეტექსტის ამოკითხვისა და მხატვრული სიტყვით ესთეტიკური ტკბობის უნარი. ერთი სიტყვით, მივცეთ ლირიკული შედევრის აღქმის ისეთი გასაღები, რომელიც არა მარტო შესასწავლი მასალის, არამედ ნებისმიერი პოეტური ქმნილების აღქმისა და გაგებისათვის გამოადგებათ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ – ლექსის სტროფებად დაყოფა-დანაწევრება მიუღებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში იდეურ-შინაარსობრივი მთლიანობა ირღვევა და ვერც ემოციურ ტკბობას განიცდის მსმენელი. არც ისაა გამართლებული, ლექსის წაკითხვისას დავსვათ კითხვა, თუ რომელი სიტყვა იყო გაუგებარი.

ლექსის გამომეტყველებით წაკითხვის შემდეგ საჭიროა, დაისვას კითხვა იმის გასარკვევად, როგორი ემოციური ზეგავლენა მოახდინა მსმენელზე. მასწავლებელი კითხვების საშუალებით უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, გამოკვეთონ ძირითადი საკითხები, დაადასტურონ ისინი შესაბამისი სტროფებით და იქვე უპასუხონ კითხვას, რომელი მხატვრული ხერხი გამოიყენა პოეტმა სათქმელის გადმოსაცემად. რაც შეეხება სალექსიკონო მუშაობას, იმ მიზნით, რომ ლექსი მთლიანობაში აღიქვან, უმჯობესია მისი ჩატარება ზეპირი წინსწრების მეთოდით, შესავალი საუბრის შემდეგ. დაფაზე დაიწერება უცნობი სიტყვები შესაბამისი განმარტებით.

*ნიკოლოზ ბარათაშვილი*

## „არაგვს“

(ნაწყვეტი პოემიდან „ბედი ქართლისა“)

გაკვეთილის ფონი შეიძლება იყოს ტექსტის მიხედვით შექმნილი ცნობილი სიმღერის მელოდია, მოსწავლეებს დავაკვირვებთ გაკვეთილის რუბრიკაზე – „ადამიანი და ბუნება“. ვინაიდან მეხუთეკლასელები პირველად ეცნობიან ნიკოლოზ ბარათაშვილს, აუცილებელია, შევქმნათ შესაბამისი სამყარო – მწერლის ფოტოსურათები, არაგვის ხეობის პეიზაჟი...

უნდა გამოიკვეთოს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ანუ ტატო, როგორც მას შინაურობაში ეძახდნენ, სრულიად ახალგაზრდა, 28 წლისა, გარდაიცვალა განჯაში, საიდანაც მისი ნეშტი ჯერ დიდუბის, ხოლო შემდეგ მთაწმინდის პანთეონში გადმოასვენეს. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა 30-მდე ლექსის, ერთი პოემისა და რამდენიმე პირადი წერილისაგან შედგება, მაგრამ ესეც საკმარისია პოეტის სახელის უკვდავსაყოფად. ამჟამად განვიხილავთ ნაწყვეტს (ლირიკულ გადახვევას) პოემიდან „ბედი ქართლისა“, რომელსაც პირობითად ეწოდება „არაგვს“. შევეცადოთ, ამ პატარა ლექსით ჩავწვდეთ პოეტის სულიერ სამყაროს, კერძოდ, მის დამოკიდებულებას ბუნებისადმი. სასურველია, ლექსი ავტოგრაფის სახით მოთავსდეს დაფაზე მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მას მუსიკის ფონზე სათანადო დიქციით წაიკითხავს.

მოსწავლეებს ვთხოვთ, წაიკითხონ ლექსი, დაფიქრდნენ და უპასუხონ კითხვებზე (ყურადღება მიაქციონ სიტყვების ახსნა-განმარტებებს).




არაგვიანი – ჩქარი
ატეხილი – აქ: ხშირი, ტანაყრილი მცენარეები (ტყე ჭალა)
მომზირნო – მაცქერალნო
ჩამოხდეს – ჩამოხტეს, ჩამოქვეითდეს
ეშურებოდეს – ეჩქარებოდეს
თვალს მოატყუებს – წაიძინებს (იდიომი)

1. როგორია თქვენი შთაბეჭდილება ლექსის წაკითხვის შემდეგ?

2. როგორი მდინარეა არაგვი? საიდან მოედინება იგი?

(მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში, სიგრძე – 112 კმ. არსებობს თეთრი – მთიულეთის და შავი – გუდამაყრის, ხევსურეთისა და ფშავის არაგვი. ზემო და შუა დინებაში მთის მდინარეა, ქვემო დინებაში კი ვაკეზე იშლება).

3. რომელი ეპითეტებით გამოხატა პოეტმა აზრი, რომ არაგვი დაუდგრომელი მდინარეა? (არაგვიანი, შეუპოვარი)

4. სად მთავრდება ბუნების სურათის აღწერა, ანუ პეიზაჟი? განვმარტავთ, რომ „პეიზაჟი“ ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ბუნების სურათის, ადგილმდებარეობის საერთო ხედის დახატვას ხელოვნებაში, ლიტერატურაში.

5. სად გვხვდება პირველად მიმართვა? როგორ არის მიმართვა გამოხატული? რაზე მიუთითებს იგი? დავაკონკრეტოთ, რომ ეს არის პოეტური მიმართვა.

6. პოეტის წარმოსახვით როგორი ყოფილა არაგვის ხეობა?

– მოდით წარმოვიდგინოთ, რომ ვმოგზაურობთ ამ ლამაზ ხეობაში და შევეცადოთ აღვწეროთ, როგორი სანახაობა გადაგვეშლება თვალწინ?

– მასწავლებელს დაფაზე ან ფორმატზე წინასწარ ექნება შედგენილი ასოციაციური რუკა, რომელიც შეივსება მოსწავლეთა აქტიურობითა და მათ მიერ შერჩეული ეპითეტებით.

– როგორ ზემოქმედებას ახდენს ასეთი ლამაზი ბუნება ადამიანზე?

– რა სურვილი ეუფლება მშობლიური ქვეყნის ბუნების სილამაზით მოჯადოებულ ქართველს?

– ლექსის მიხედვით დაასაბუთეთ, რომ მნახველს ამ ბუნების ნაწილად ქცევის სურვილი უჩნდება.

– შეესაბამება თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული სურათი ტექსტის შინაარსს?

შემდეგი აქტივობა – მინი-დისკუსია. მოსწავლეებს გამოვათქმევინებთ აზრს, თუ რატომ უძღვნიან პოეტები ლექსებს მთებს, მდინარეებს, მინდვრებს, ყვავილებს.

კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ აღვნიშნავთ, რომ მდინარე არაგვს, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდა, ლექსი მიუძღვნა ბუნების დიდმა მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ („არაგვს“ – „დამწუხრებულმა არაგვო, რო გნახე გავიხარეო“). ილია ჭავჭავაძემ კი ამ მდინარეს მემატიანე უწოდა („ჩვენო არაგვო, რა რიგ მიყვარხარ, ქართლის ცხოვრების მოწამე შენ ხარ”), რადგან ამ ხეობაში, ვინ იცის, რამდენჯერ დაღვრილა წმინდა სისხლი ქართველებისა. კლასს გავყოფთ ჯგუფებად და დავურიგებთ წინასწარ შედგენილ ბარათებს.

**1. ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს:**

„მორბის არაგვი არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანნი და შეუპოვრად მოუთამაშებს გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს“.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

♦ განმარტეთ არაგვიანი (ჩქარი), ატეხილი (ხშირი, აყრილი)

♦ ამოწერეთ სიტყვა, რომელიც გამოხატავს დაუმორჩილებლობას, სიმტკიცეს (შეუპოვარი).

**2. ნიკოლოზ ბარათაშვილი მიმართავს არაგვის ნაპირებს:**

„ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს, როგორ იქნება
არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს, მოატყუებს,
გამოილვიძებს, შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს
„არაგვო, მაგ შენს ამწვანებულს მთებს...“

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

♦ განმარტეთ „გულმან როგორ გაუძლოს; რაც უნდა გზასა ეშურებოდეს“ (როგორ მოითმინოს, როგორც უნდა ეჩქარებოდეს);

♦ განმარტეთ „თვალს მოატყუებს“ (ჩათვლემს); „შუბლს განიგრილებს“ (შუბლზე ცივ წყალს შეისხამს ან ცივ ნიავს მიუშვერს);

♦ რას მოიმოქმედებს არაგვის ხილვით მოხიბლული ქართველი? (ჩამოქვეითდება, ცხენს მოაძოვებს, მიიძინებს);

♦ ამოიწერეთ სიტყვა, რომლითაც ავტორი ეროვნულ გრძნობას აღვიძებს („ქართველურად“), ე.ი. ყველასაგან გამორჩეულად, განსხვავებულად.

**3. ამოწერეთ ლექსიდან ნარიანი მრავლობითი რიცხვის ნიმუშები (მთანი ტყიანნი, ნაპირნო, მობიბინენო), არქაიზმები და შეეცადეთ, განმარტოთ ისინი!**

– თქვენი აზრით, ქართველი, რომელიც ამ მშვენიერ ხეობაში დაისვენებს, რომელ სადღეგრძელოებს შესვამს და რატომ?

– „არაგვო, მაგ შენს ამწვანებულს მთებს!“

სად არის დაშვებული გრამატიკული შეცდომა და რატომ?

– რომელ სიტყვაშია ნახმარი მოთხრობითი ბრუნვის ძველი ნიშანი.

– გავაანალიზებთ მოსწავლეთა პასუხებს და შევაფასებთ მათ გაკვეთილში ჩართულობისა და თანამშრომლობის შესაბამისად.

**დავალება** – ლექსის მიხედვით ესეს შედგენა
„მორბის არაგვი, არაგვიანი“
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“ (შერჩევით)

შეძლებისდაგვარად დახატონ არაგვის ხეობა და ფერებით წარმოაჩინონ ის ეპითეტები, რომლებზეც ასოციაციური რუკის შევსების დროს გამახვილდა ყურადღება.

*ვაჟა-ფშაველა*

## „არწივი“

მე-6 კლასის ლიტერატურის სახელმძღვანელოში ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიული მონაცემები საკმარისადაა მოცემული, ამიტომ მოსწავლეებს მოვუთხრობთ პოეტის ცხოვრების იმ ეპიზოდს, რომელიც დაკავშირებულია განსაკუთრებულ ლექსთან. „არწივი“ თვითონ ვაჟასაც ძალიან ჰყვარებია და ხშირად ამბობდა ხოლმე, როცა ლექსის თქმას თხოვდნენ. მისი შექმნისათვის, როგორც გადმოგვცემენ, ცხოვრებისეულ ფაქტს მიუცია საბაბი. 26 წლის ჯანსაღი, ძლიერი და შეუპოვარი, არწივის მსგავსი პოეტი მგზავრ ხევსურებს უცემიათ. ვაჟას ქალიშვილი თამარი ამბობს, როცა მეტყევე ხიზანიშვილმა ხელშეკრული ჩაიყვანა თიანეთში, იქიდან დაბრუნებულმა დაწერაო. იმასაც ამბობენ, რომ ნადირობის დროს თავად დაუჭერია არწივი და მისი წვალებისათვის რომ უცქერია, ძლიერ შებრალებიაო. ძნელია იმის დადგენა, რომელი ვერსია შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ აშკარაა, რომ პირადი ცხოვრების ეპიზოდი გამხდარა ლექსის შექმნის საბაბი.

ყურადღება უნდა გაამახვილოთ პოეტის ფსევდონიმზე. ვაჟა-ფშაველა პოეტს თუშმა მეგობარმა დიმიტრი ცისკარიშვილმა შეარქვა პეტერბურგში. მან იცოდა, რომ ვაჟა ფშავ-ხევსურეთში ვაჟკაცს ნიშნავდა, ამიტომ ხან ვაჟას ეძახდა ხან – ფშაველას. შემდეგ შეაერთა და დაუძახა ვაჟა-ფშაველა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „ვაჟა“, როგორც მამაკაცის სახელი, მანამდე არ არსებობდა. ეს სახელი, პოპულარული გახდა ლუკა რაზიკაშვილის საპატივცემულოდ (ზურაბ ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?“).

აუცილებელია, გაკვეთილის დაწყების წინ, ვაჟას სამყაროს შექმნა, რაც მცენარეების, ყვავილების, ხავსის, ფოტოსურათების საშუალებით არც თუ ისე რთული საქმეა. ასევე, ამ გაკვეთილისათვის მნიშვნელოვანი ატრიბუტია არწივის სურათი ცალკე და ყვავ-ყორნების გარემოცვაში.

ლექსს, სიმცირის გამო, მოვათავსებთ თვალსაჩინო ადგილას ფორმატზე დაწერილს. ვკითხულობთ მთლიანად და შესაბამისი ხმის ტემბრით, სათანადო ინტონაციითა და მახვილით უნდა შევეცადოთ, მოსწავლეებმა წარმოიდგინონ დაჭრილი არწივი ყვავ-ყორნებით გარშემორტყმული. შემდეგ მათ ვთხოვთ ლექსი წაიკითხონ, დაფიქრდნენ და უპასუხონ კითხვებზე:

♦ როგორი განცდა აღძრა თქვენში ლექსის დასაწყისმა? როგორ წარმოგიდგენიათ არწივი და რა მდგომარეობაში იხილეთ ახლა?

♦ გადმოეცით თქვენი დამოკიდებულება ყვავ-ყორნების მიმართ.

– არწივი რომ ფრინველთა მეფეა და ძლიერების სიმბოლო, ეს ყველასათვის ცნობილია. ყვავ-ყორნები მის ახლოს ფრენასაც ვერ ბედავენ, ახლა კი ესევიან და კორტნიან.

♦ თქვენი აზრით, რას გვეუბნება პოეტი ყვავ-ყორნების მოქმედებით?

♦ როგორ ფიქრობთ, ვაჟამ ამ ლექსით მხოლოდ მის მიერ ნანახი სურათი წარმოგვიდგინა, თუ სხვა რაიმეზეც მიგვანიშნა?

– ქართველმა ხალხმა დაჭრილ არწივში დასუსტებული სამშობლო დაინახა, ყვავ-ყორნებში კი – მტერი. ასე ფიქრობს ვაჟა-ფშაველას პოეზიის ზოგიერთი მკვლევარი.

♦ თქვენ რას ფიქრობთ, შეიცავს ეს ლექსი ამგვარ მნიშვნელობას?

♦ იგრძნობა თუ არა ლექსში მომავლის იმედი, ანუ ოპტიმიზმი?

– შევეცდებით მოსწავლეებს ხაზი გავასმევინოთ (მარკერით) იმ სიტყვებზე, რომლებშიც პოეტი მესამე პირში მოგვითხრობს არწივის ბრძოლას (2, 3, 4, 5, 6 ტაეპები).

♦ ლექსის დარჩენილ ნაწილში რომელ პირშია თხრობა?

♦ ვის მიმართავს არწივი და როგორი ტონით, მუქარით თუ თხოვნით?

♦ როგორი ხმით უნდა წავიკითხოთ ეს სიტყვები, ხმამაღლა თუ ჩუმად? რატომ?

♦ თქვენი აზრით, ამ შემთხვევაში, ყვავ-ყორნებია ძლიერი თუ არწივი?

– ყურადღებას გავამახვილებთ ლექსის ზომაზე, კერძოდ, შაირზე, რომლითაც დაწერილია „არწივი“. აღვნიშნავთ, რომ არსებობს 8-მარცვლიანი შაირიც, რომელსაც ძირითადად ხალხურ პოეზიაში იყენებენ და მას დაბალი შაირი ეწოდება.

## მეთოდიკა

ვაჩვენებთ სქემას:

| 8 | |
|---|---|
| 5 | 3 |
| არწივი ვნახე | დაჭრილი |
| 8 | |
| 5 | 3 |
| ეწადა ბეჩავს | ადგომა |
| 8 | |
| 5 | 3 |
| მაგრამ ველარა | დგებოდა |

შემდეგ მოსწავლეებს დავაკვირვებთ პოეტის ენობრივ სამყაროზე და მათი აქტიურობით გამოვყოფთ ფშავურ დიალექტებს:

**ეწადა** – სურდა
**ბეჩავი** – უბედური
**ჩაგიგდავთ** – ჩაგიგდიათ
**თორო** – თორემ

გაკვეთილის ამ მომენტში მოსწავლეებს მოვაგონებთ აკაკი წერეთლის მიერ ვაჟასადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ლექსის დასაწყისს.

*„ენას გიწუნებ, ფშაველო,*
*მგოსანო, მაღალ მთისაო,*
*თუმც კი გვითესავ მარგალიტს!*
*მკითხველიც იმას მკისაო!!“*
*(ვაჟა-ფშაველას)*

აღვნიშნავთ, რომ ვაჟამ აკაკის ლექსითვე უპასუხა:
*„გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა.*
*მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა!“*
(„დაგვიანებული პასუხი აკაკის“)

♦ თქვენ როგორ შეაფასებთ პოეტის დიალექტურ მეტყველებას?

– ლექსში ჩავსვათ დიალექტის შესაბამისი ლიტრატურული განმარტებები, ვნახოთ, რა მოხდება? ამ ვარიანტს დავაწერინებთ ერთ-ერთ მოსწავლეს და კლასის აქტიურობით გამოვატანინებთ შესაბამის დასკვნას, რომ ამ შემთხვევაში მივიღეთ სიტყვათა წყობა და არა – ლექსი, რომელსაც ვაჟასეული ელფერი დაეკარგა. მოსწავლეები უნდა მივიყვანოთ იმ დასკვნამდე, რომ დიალექტების ხმარება ლექსს კი არ აუფერულებს, პირიქით, უფრო მკაფიოდ, ნათლად და შეუფერადებლადაა გადმოცემული მწერლის სათქმელი, გვესმის იმედიანი განწყობილება – მართალია, არწივი დაჭრილია, მაგრამ ბრძოლის უნარი არ დაუკარგავს, ყვავ-ყორნები კორტნიან, მაგრამ მაინც გამარჯვებულია. აღვნიშნავთ, რომ ამგვარივე სახეა მიჯაჭვული ამირანი (აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“), რომელიც ჯაჭვის გაწყვეტის დროს ელის, რათა სიხარულით შეიცვალოს მწუხარება.

აქვე დავძენთ, რომ „ვაჟას შემოქმედებაში არწივი დაახლოებით სამასჯერ არის ნახსენები. მათ შორის მხარკვერიანი გამორჩეული ჯიშია. მას ორივე ფრთის დასაწყისთან თეთრი ლაქა აქვს და ამით ემსგავსება ვაჟკაცს, ღვთიური ნიშნით დაღდასმულს“ (ალ. ჭინჭარაული – 1980 წ). არწივთან დაკავშირებით მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ ასეთი ინფორმაციაც – არწივი ფრინველთა სახეობაა შავარდნისნაირთა რიგისა, წონა – 6 კგ. ფრთებს შლის 2-2.5მ-ზე, ბრჭყალები აქვს ბასრი, ფრთები გრძელი და განიერი, დებს 2-3 კვერცხს, 40-45 დღის შემდეგ ჩეკს მართვეებს. ხორცისმჭამელ ფრინველთაგან არწივი იმით განსხვავდება, რომ თავისი ნადავლით იკვებება. მთებს ზემოთ „ცამდე“ მხოლოდ არწივს შეუძლია ავიდეს. სხვა ფრინველები ასეთ დიდ სიმაღლემდე ვერ აღწევენ. ყურადღებას გავამახვილებთ, რომ ვაჟას დაწერილი აქვს იმავე სახელწოდების მოთხრობა, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ფრინველთა მეფეს გაუჭირდა, მაგრამ არ ისურვა ნასუფრალით გამოკვება, გადაწყვიტა, ბარში ჩაფრენილიყო და იქ დალია სული. ვაჟა შთამბეჭდავად აღწერს ბებერი არწივის მთასთან დამშვიდობების განცდას. გალაკტიონ ტაბიძემ არწივის თემაზე შექმნა ლექსი „არწივებს ჩასძინებოდათ“, რომელშიც გამოიყენა ვაჟას ლექსის პირველი სტროფი და გვიჩვენა ფრთებდამწვარი არწივები, რომლებსაც ღირსება და სიამაყე მაინც არ დაუკარგავთ.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს მივცემთ რამდენიმე წუთს ლექსის ზეპირად დასწავლის მიზნით და განსაკუთრებულებს (ვგულისხმობთ ტექსტის სწორად, გამომეტყველებით და ხმის შესაბამისი ტემბრით კითხვას) წავახალისებთ არწივის სამკერდე ნიშნებით, რომლებიც წინასწარ ნახატის სახით გვექნება მომზადებული.

**დავალება** – მინიატურული თხზულება (ესე) თემებზე:
ვაჟას არწივი,
ფიქრები ფრინველთა მეფეზე,
არწივი – გმირობისა და ძლიერების სიმბოლო (არჩევით).

ლექსის სწავლებამ მოზარდს უნდა ჩამოუყალიბოს პოეზიისადმი სიყვარული, გამომეტყველებითი კითხვის ჩვევები, განუვითაროს სამეტყველო უნარები (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი), გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა და, რაც მთავარია, მოსწავლემ უნდა შეძლოს ლიტერატურის, როგორც სიტყვის ხელოვნების, აღქმა და გაცნობიერება.

ზემოთ ჩამოთვლილი და განხილული მეთოდები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნებისა და სწორი მეტყველების, მომდევნო კლასებში – კრიტიკული მსჯელობისა და მოვლენათა საკუთარი თვალთახედვით შეფასების უნარების ჩამოყალიბებას.

***მთვარისა კიკვაძე***
*ქუთაისის 38-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი*

## ნააზრევი



# მიხო მოსულიშვილი „ვაჟა-ფშაველა“

### ამონარიდი წიგნიდან

## გენიალური ბარბაროსისა და ევროპულად გამოწყობილი ფრანტისა

***„ვაჟა-ფშაველა. ბარბაროსი, რომელშიაც გენიამ გაიღვიძა. მუდამ უსინათლო ჰომეროს: თვალღია ზმანება. ქართული მითოს. გველის-მჭამელი“.***
**გრიგოლ რობაქიძე**

1908 წელს გერმანიიდან ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით ტფილისში დაბრუნებული, სმოკინგში და ცილინდრში გამოწყობილი, ხელჯოხიანი ფრანტი, გრიგოლ რობაქიძე ერთ წვეულებაზე ვაჟა-ფშაველას გაიცნობს და რაკი ჩოხა-ახალუხიანი მგოსანი მწყემსად უფრო მოეჩვენება, ვიდრე პოეტად, ჯერ ამრეზით დაუწყებს ლაპარაკს, ისიც უკვე წაკითხული ნაწარმოებების ხათრით.

არც ვაჟას მოუვა ჭკუაში და თვალში ეს გადაპრანჭული ფრანტი და ისიც მოკლე-მოკლეებს ამბობს თავიდან...

ეგრე დაიწყებენ მაინც სასხვათაშორისო ლაპარაკს, აჰყვებიან სხვებიც და რაკი სიტყვა მოიტანს, ჰეგელის „ლოგიკას“ უხსენებს გრიგოლ რობაქიძე, – ბარემ ერთბაშად ჩავაჩუმებ ამ ფშაველ მწყემსსაო.

სანამ ჰეგელის „ლოგიკამდე“ მივალთ, მოდი, ჯერ ჰეგელმა რომ სუბსტანციაზე თეზისი დაგვიფუძნა, იმით დავიწყოთო, – შესთავაზებს ვაჟა, ჯიბიდან პორტსიგარს ამოიღებს, გახსნის და იქიდან ამოღებულ პაპიროსს შანდლიდან მოუკიდებს ცეცხლს.

ბატონი ბრძანდებიო, – ჩაუდარაჯდება კოხტაპრუწა ფრანტი, სასმისების ლანგრით მოსულ მსახურს ხელს აუქნევს, – შამპანურს აღარ გეახლებითო, – და ჩქარა-ჩქარა ამბობს, – ჰეგელმა დააფუძნა ტეზისი სუბსტანციაზე, როგორც სუბიექტზე, როგორც მომქმედ, აქტიურ საწყისზეო.

ჰოდაო, – ვაჟა ეტყვის დინჯად, – ჰეგელის ფილოსოფიის მთავარი დებულება არის ყოფისა და აზროვნების იგივეობა. რეალური სამყაროს, როგორც გონის გამოვლენის გაგებაო.

მერე, მერეო? – ისევ იმერულად ფიცხობს ფრანტი.

ყოფისა და აზროვნების იგივეობას ჰეგელი ისე განიხილავდა, როგორაც აბსოლუტური იდეის მიერ თავისი თავის შემეცნების ისტორიულ პროცესსაო, – წყნარად უხსნის ვაჟა, – და, აბა, მოდი, ეს უფრო კარგად ვთქვათო.

კი, ბატონოო, – გაოცებას არის გრიგოლ რობაქიძე, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით აქვს დასრულებული ლაიპციგის უნივერსიტეტი...

ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების საფუძველი აბსოლუტური იდეა არის, იგივე მსოფლიო გონი და იმისი მოქმედება ჰხდების თავისი თავის შემეცნებაში. და აბსოლუტური იდეა თავისი თავის განვითარებისას გაივლის სამ საფეხურსაო...

აბა, რომელს და რომელსო? – განცვიფრებას ველარ მალავს ფილოსოფიის დოქტორი.

იდეის განვითარება თავის საკუთარ წიაღში, გინდაც, წმინდა აზროვნების სტიქიაშიო, – განმარტავს ვაჟა, – ეს პირველი საფეხურიო.

კი, კიო, – დაუდასტურებს ჯერაც ოცდაექვსი წლის ყმაწვილი ფრანტი, თანაც უკვე დოქტორი, – ესაა ლოგიკა, სადაც იდეა თავისს შინა არსს გადმოშლის ერთურთში გარდამავალ ლოღიკური კატეგორიების სისტემაშიო. და მეორე ეტაპიო?

იდეის განვითარება სხვადყოფნის ფორმაში, თუნდაც ბუნების ფორმაშიო, – მიუგებს ორმოცდაექვსი წლის თმაწვერ დაჭირხლული ვაჟა, – ბუნების ფილოსოფია არის ესაო.

კერძოდ, კერძოდო?

კერძოდ ის, რომ ბუნება კი არ ვითარდებაო, – უფრო ღრმად მიდის ვაჟა, – ბუნება ემსახურება მხოლოდ ლოგიკური კატეგორიების თავისი თავით განვითარების გარეგნულს გამოვლინებას. სწორედ ეს კატეგორიები შეადგენენ ბუნების გონითს არსებობასაო. და ესეც შენი მეორე საფეხურიო.

კარგი, კარგი, კარგიო, – გახარებულია გერმანიაში სწავლამიღებული ფრანტი, – მესამეო?

გონის ფილოსოფია არის მესამე საფეხურიო, – ულიმის თვალების უპეებში ნაოჭებდამჩნეული და მაინც დარდიანად გამომზირალი ვაჟა, – მოკლედ რომ მოვჭრა, ეს არის იდეის განვითარება აზროვნებაშიც და ისტორიაშიცო.

და მოკლედ რომ არ მოსჭრაო? – ჩაუკირკიტდება ფრანტი, დოქტორი ფილოსოფიისა.

მესამე საფეხურზე აბსოლუტური იდეა კვლავ უბრუნდება თავის თავსაო, – მოიწყენს და ისე პასუხობს ვაჟა, – და ეს აბსოლუტური იდეა თავის შინაარსს როგორ იგებსო და, ისეო, რომ ადამიანის ცნობიერებისა და მოქმედების სხვადასხვა ფორმაში ჰხედავს აბსოლუტური იდეა თავის შინაარსსაო.

ყველაფერი გასაგებიაო, – თავს დაუკრავს აღფრთოვანებული თანამოსაუბრე.

და უფრო გასაგები რომ გაჰხდესო, – ვაჟა დასძენს, – აზროვნებისა და ყოფის ერთი და იგივეობის მტკიცებულება იმას ემსახურება, რომ სამყაროსა და აზროვნების კანონების ერთიანობა დამტკიცდესო.

ვაჟა-ფშაველასგან ჰეგელის ეგეთი ღრმად ცოდნა ისეთ აღფრთოვანებაში მოიყვანს გრიგოლ რობაქიძეს, რომ ლექციებსაც ხომ მიუძღვნის და მერე „გველისმჭამელზეც“ დაწერს წერილს, სადაც ვაჟა-ფშაველას მინდიას ჰენრიკ იბსენის პერ გუნტს შეადარებს, ხოლო შემდეგში შეთხზულ გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ თუ კარგად დავაკვირდებით, იმასაც ადვილად გამოვიცნობთ, რომ ამ დრამის ეპიცენტრი ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელშია“ მოსაძიებელი.

### ჩანაწერი, რომელიც წიგნში არ შესულა

## ვაჟა რომ დაბრუნდება (ლელა რაზიკაშვილისთვის მოყოლილი)

აი, როგორც ლონდონში იცის ხოლმე, ისეთი გაწეწილი ნისლი იდგა ამ ჩემს მთაწმინდის უბანში და თქორავდა...

ორი ქვაფენილიანი ქუჩის, არსენასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის გადაკვეთაზე ვიდექი და სადღაც მივდიოდი. სახელდობრ – სად, ველარ ვიტყვი, რადგან ამ დროს ისეთი რაღაც მოხდა, რომ გადამავიწყდა...

არსენას ქუჩიდან ოთხცხენიანმა ეტლმა გამოიარა და სანამ ჭავჭავაძეზე ჩაუხვევდა, კოფოზე მჯდარმა ცილინდრიანმა და ლაბადიანმა მეეტლემ სადავეს მოსწია და ჩემს წინ შეაჩერა ეკიპაჟი.

ნეტავ, რა ხდება მეთქი, – ამის გაფიქრება ვერ მოვასწარი, რომ ეტლიდან ვაჟა-ფშაველა გადმოვიდა, სწორედ ისეთი, როგორიც უკანასკნელ სურათებშია – მაღალი, შუბლზე გადმოყრილი ჭაღარაშერეული თმით და ხმელხმელი; დაშავებული მარჯვენა თვალი ისე მოუჩანდა, თითქოს მიბრიალებდა, არადა, მარცხენა სალიმილოდ ჰქონდა მოწკურული.

გამიღიმა მართლაც და, – აბა, ჩქარა, ეტლში ჩაჯექიო!

ავაჰმე, როგორ გამიხარდა!..

ამას ხომ ნამდვილ ვაჟა-ფშაველას ვხედავდი და თან ყველაზე კარგი ის იყო, რომ სმოკინგი ეცვა, ხელჯოხი ეჭირა და პერანგის თეთრად გახამებული საყელოც მოუჩანდა იმ სმოკინგის ქვეშ...

და ჩამივარდა ენა.

ვუყურებ ამ ერთბაშად თავს დატეხილი ბედნიერებით გაოგნებული, რომ თვითონ ვაჟას ვხედავ, ნამდვილ ვაჟას...

და ცრემლები მომდის...

მოუთმენელი მოძრაობით ფართოდ გამოხსნა იმ თავისი ეტლის ლამაზად მოვარაყებული კარი და ხელჯოხით მიმითითა მწვანე მაუდით დამშვენებულ კაბინაზე, – ჩქარა, თორემ დაგვაგვიანდაო!..

სადა?.. სად უნდა წავიდეთ მეთქი? – ძლივს ამოვილუღლუღე...

სადაც არის გემი უნდა გავიდეს და იმაზე ვიგვიანებთ უკვეო!..

ვაჟასთან ეტლით სიარული ხომ როგორ მერიდება და მრცხვენია!..

და ახლა კიდევ გემით მგზავრობა!..

არადა, აქ თბილისია, გემს რა უნდა? რომელი საზღვაო პორტი ეს არის?..

და გეგონება ნაფიქრს მიმიხვდაო, იმ გაწეწილი ნისლებისკენ გაიშვირა ვაჟამ თავისი ხელჯოხი.

იმ ნისლებში დიდი, თეთრად ქათქათა ხომალდი იდგა და იმისი ხმამაღალი საყვირი მართლა თავისკენ გვეძახდა...

მე სანამ იმ გემის წარწერის გარჩევას ვცდილობდი, არადა, ნისლის ფთილები ჩამოეფარებოდა ხოლმე ვერაგულად, კიდევ ერთხელ დაკვირვებით შემომხედა ვაჟამ თავისი სულში ჩამწვდენი მზერით, – კარგი, აქ იყავი... მე კიდევ დავბრუნდებიო! – მითხრა, ცილინდრიან მეეტლეს ხელჯოხი მსუბუქად მიუკაკუნა სველ ლაბადაზე და ეტლში ავიდა, კარი მიიკეტა.

მერე ეტლიც დაიძრა და იმ გაწეწილ-გამოწეწილ ნისლებში ჩაიკარგა დგრიალ-დგრიალით...

მერე, გამოღვიძებისას, ამ ჩემ არეულ-დარეულ ყოფას რომ გადავხედე, მაგრად ვინანე, – ნეტავი, გავყოლოდი მეთქი...

თუმცა, არაუშავს, – ხომ მითხრა, კიდევ მოვალო!..

ჰოდა, მეც დავუცდი და ვაჟა რომ დაბრუნდება იმ თავისი შავი ეტლით და ქათქათა ხომალდით, აუცილებლად გავყვები, მერე რა, თუ იმის გვერდით ენაც ჩამივარდება და ვერც ვერაფერს ვეტყვი, იმ გემის სახელს მაინც ხო გავიგებ და, – რაც მთავარია, მოვუსმენ და თან რამდენ საოცრებას ვნახავ...

*2011 წლის 20 ივლისი*

*მინაწერი:* და ეს არ დამავიწყდეს, – ეს ოთხი ცხენი მოუთმენლად სცემდა ნისლიან ფლოქვებს ქვაფენილზე და სულ ნაპერწკლები ცვიოდა აქეთ-იქით...

ახალი

საუბრები ბიბლიაზე

# შეხვედრა ფარაონთან



რუბრიკას უძღვება
*მაკა თაქთაქიშვილი*

„წავიდა მოსე და დაბრუნდა ითროსთან, თავის სიმამრთან, და უთხრა: წავალ, დავბრუნდები ჩემს ძმებთან ეგვიპტეში, ვნახავ, ცოცხლები არიან თუ არა. უთხრა ითრომ მოსეს: მშვიდობით იარე“ (გამ. 4:18). დაემშვიდობა მოსე სიმამრს, შესხა სახედრებზე თავისი ცოლშვილი და გაუდგა გზას ეგვიპტისაკენ. „...ხელში დაიჭირა მოსემ ღვთიური კვერთხი (გამ.4:20) – საგულისხმოა, რომ მოსეს კვერთხი (გამ. 4:2) ახლა უკვე ღვთიურ კვერთხად მოიხსენიება, რადგან კვერთხი სიმბოლური მნიშვნელობით ბოროტი ზრახვების დამარცხებას ნიშნავს. „ღვთიური კვერთხი“ არაერთ სასწაულს მოახდენს, ბოროტებას დაამარცხებს და ღვთის ნების აღსრულებაში დაეხმარება ებრაელ ხალხს.

„უთხრა უფალმა მოსეს: ახლა მიდიხარ და, იცოდე, როცა დაბრუნდები ეგვიპტეში, ფარაონის წინაშე მოახდენ ყველა სასწაულს, რომელიც ხელში ჩაგიდევი. გულს გავუსასტიკებ ფარაონს და არ გაუშვებს ხალხს“ (გამ. 4:21). ერთი შეხედვით უცნაურია, რატომ უნდა გაუსასტიკოს გული უფალმა ფარაონს. და თუ ეს ასე მოხდება, რა აზრი აქვს მოსეს საუბარს ფარაონთან. როდესაც ადამიანი თავისი ბოროტი ზრახვებით იმ უკიდურესობამდე მიდის, რომ ადამიანურსა და არაადამიანურს შორის ზღვარი იშლება, ის კარგავს სახეს, ანუ ღმერთის მსგავსებასა და ხატებას, მაშინ „უსასტიკებს“ უფალი მას გულს. თუმცა, ამ ზღვრამდე არაერთხელ აძლევს არჩევანის საშუალებას, მიანიშნებს ლობირებისკენ, მონანიებისაკენ, მაგრამ თუ ადამიანს გონება დახშული აქვს და გული გაქვავებული, ვერ ხედავს შეცდომას და არ ესმის ღმერთის, მაშინ უფალი დამსახურებულ რისხვას დაატეხს მას. ასეთი რისხვის გამოხატულება ისიც არის, რომ ადამიანს აღარ ეძლევა შანსი გაარჩიოს კარგი და ცუდი, ქველმოქმედება და ბოროტება. ფარაონს მშვენივრად ესმოდა რამდენად უსამართლოდ და სასტიკად ექცეოდა დამონებულ ისრაელიანებს, ესმოდა, რომ თითოეული ადამიანი იმსახურებს მინიმალურ ჰუმანურ მოპყრობას მაინც, არ შეიძლება აწამო და სტანჯო, სიცოცხლე წაართვა და შვილები დაუხოცო. ამიტომ, მისი ზღვარგადასული ქმედება, უკვე მისივე სამაგალითოდ დასჯისათვის, იმსახურებდა „გულის გასასტიკებას“.

არსებობს სხვა თვალსაზრისიც... ჩვენ მიერ ჩადენილი თითოეული ცოდვა გულის გარშემო ერთგვარ ნაჭუჭს ქმნის, რომელიც ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მყარდება. გაქვავებული გული ველარ ღებულობს ღვთიურ მადლს, ველარ გრძნობს და განიცდის, ველარ ხედავს ჩადენილ ბოროტებას, მაგრამ ჩვენი გამოფხიზლებისთანავე უფალი ამსხვრევს გაქვავებულ ნაჭუჭს და არ აძლევს ცოდვას საშუალებას, რომ ადამიანიდან გამოდევნოს სულის წმინდა ნარჩენები. წინასწარმეტყველი იეზაკიელი ამბობს: „...და გამოვჰფხურა გული მათი ქვისაი და მივსცე მათ გული ხორცისაი ხორცისაგან მათისა“ (ეზაკ. 11:19).

ეგვიპტის გზაზე მდგარ მოსეს უცნაური რამ შეემთხვა: „...ღამეს რომ ათევდნენ, დაუხვდა მას უფალი და მოკვლა დაუპირა“ (გამ. 4:24). განა რით უნდა დაემსახურებინა უფლის გულისწყრომა მოსეს? მით უფრო, რომ ტექსტიდან არ იკვეთება მოსეს ქმედებაში რაიმე შეცდომა ან მნიშვნელოვანი გადაცდომა, თუმცა შემდეგ მისი უგულისყურობა მაინც გამოჩნდება. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ დროისთვის მოსეს უკვე მეორე ვაჟი ჰყავდა და ის, როგორც გაირკვა, ჯერ კიდევ წინდაუცვეთავი იყო. აბრაამიდან მოყოლებული, უფლის ნებით, ბავშვის დაბადებიდან მერვე დღეს წინადაცვეთის წესი უნდა აღსრულებულიყო. მოსე კი, რომელიც ისრაელის წინამძღოლად განმზადდა, სრულ ჰარმონიაში უნდა ყოფილიყო მამამთავართა კანონებთან. არც მას და არც მისი ოჯახის წევრებს არ უნდა ჰქონოდათ რაიმე ხინჯი. არ დაიბნა მოსეს მეუღლე, უფლის გამოცხადებით შეშფოთებულმა „აილო... კაჟი და ჩუჩა წააჭრა შვილს, ფეხებთან დაუგდო და თქვა: სისხლის სიძე ხარ ჩემი და გაეცალა მას უფალი...“ (გამ. 4:25-26).

მოსეს შესახვედრად უფალმა მისი ძმა აარონი გაგზავნა. შეხვდა აარონი მოსეს ღვთის მთასთან და ეამბორა ძმას. მოსემ კი უამბო ძმას ღვთის ნებისა და სასწაულების შესახებ.

ეგვიპტეში ჩასულებმა შეკრიბეს უხუცესები. „თქვა აარონმა ყოველი სიტყვა, რაც უფალმა უთხრა მოსეს. და მოახდინა მოსემ სასწაულები ხალხის თვალწინ, დაიჯერა ხალხმა და ირწმუნა, რომ მოხედა უფალმა ისრაელიანებს და დაინახა მათი ჩაგვრა. მუხლი მოიყარეს და თაყვანი სცეს“ (გამ. 4:30-31). გაიხსენეს ისრაელელებმა ჭეშმარიტი უფალი, დაუჯერეს მოსეს, გაიღვიძა ხალხში თავისუფლების იმედმა და მოსე თავისი მისიის აღსრულებას შეუდგა.

„მერე მივიდნენ მოსე და აარონი ფარაონთან და უთხრეს: ასე ამბობს უფალი ღმერთი ისრაელისა: გაუშვი ჩემი ხალხი, რომ დღესასწაული გამიმართონ უდაბნოში“ (გამ.5:1).

გადმოცემის თანახმად, ფარაონმა სასწრაფოდ მოატანინა ქურუმებს პაპირუსის გრაგნილები, სადაც ჩამოთვლილი იყო იმ დროისთვის ცნობილი ყველა ხალხისა თუ ტომის ღვთაება, მაგრამ გრაგნილებში არ აღმოჩნდა ისრაელიანთა უფლის სახელი. მაშინ მოსემ და აარონმა უთხრეს ფარაონს: „შენ მკვდარი ღმერთების სია ჩაიკითხე, ხოლო ჩვენი უფალი ცოცხალია, და ვერ იპოვი ცოცხალს მკვდართა შორის, რამეთუ ხომ არ წახვალ სასაფლაოზე ცოცხალი ადამიანის მოსაძებნად?!“

„უთხრა ფარაონმა: ვინ არის უფალი, რომ დავუჯერო და გავუშვა ისრაელი? არც უფალი ვიცი და არც ისრაელს გავუშვებ“ (გამ. 5:2). მოსე და აარონი კი, კვლავ ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ფარაონი: „უთხრეს: ებრაელთა ღმერთი გამოგვეცხადა. წავალთ უდაბნოში სამი დღის სავალზე და მსხვერპლს შევწირავთ ჩვენს ღმერთს, თორემ გაგვწყვეტს ჭირით ან მახვილით“ (გამ. 5:3).

ყველაზე დიდი მსხვერპლი, რაც შეიძლება ადამიანმა შესწიროს უფალს, არის ლოცვა, რადგან მხოლოდ გულწრფელი ლოცვისას, ვუძღვნით ჩვენ სულსა და გულს უფალს. სწორედ ამ მსხვერპლს მოითხოვდა უფალი ისრაელიანთაგან, ხოლო სანამ ისინი ეგვიპტელთა უღლის ქვეშ არიან, ეს შეუძლებელი იყო. ქვეყნის მბრძანებელი ასეთ სურვილში დამონებული ხალხის თავისუფლებისა და საკუთარი ძალაუფლების დასუსტების საწყისებს ხედავს. ამიტომაც მისი ბრძანება კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდის ებრაელთა ყოფას: „უბრძანა იმავე დღეს ფარაონმა ხალხის ზედამხედველებსა და თავდგმურებს და უთხრა: აღარ მისცეთ ხალხს ბზე ალიზის მოსაზელად, როგორც გუშინ და გუშინწინ აძლევდით. წავიდნენ და თავად მოაგროვონ ბზე. ხოლო აგურების რაოდენობა, რამდენსაც გუშინ და გუშინწინ აკეთებდნენ, იმდენივე დაუწესეთ, არ მოუკლოთ, რადგან ზარმაცები არიან და ამიტომაც გაჰყვირიან, წავალთ, ჩვენს ღმერთს მსხვერპლს შევწირავთო! გაუძნელდება შრომა მაგ ხალხს, საზრუნავი გაუჩნდება და ველარ მიუგდებს ყურს მაცთუნებელ სიტყვებს“ (გამ. 5:6-9).

გადმოცემის თანახმად, იმას, ვინც ვერ ასრულებდა დაწესებულ სამუშაოს, სიკვდილამდე სცემდნენ ან შვილს ართმევდნენ და მისსავე გაკეთებული აგურით ნაგებ კედელში ცოცხლად მარხავდნენ.

ისტორია ცხადყოფს, რომ დესპოტი ხელისუფლება, რომელიც არ აღიარებს დამონებულ ადამიანში ღვთაებრივ საწყისს, ყოველნაირად ცდილობს, არ გამოულიოს საზრუნავი და საჭმუნავი მას, რათა ადამიანმა ვერ მოისაკლისოს უფალი, ვერ შეიგრძნოს უფლის სიყვარული და სიკეთე. გავიდნენ ზედამხედველები და თავდგმურები და აცნობეს ხალხს ფარაონის ნება. ერთი შეხედვით, ფარაონს, ქვეყნის მმართველს არ უნდა აინტერესებდეს ისეთი წვრილმანები, როგორიცაა ამა თუ იმ მონის მიერ ბზის მოგროვება, მაგრამ სულიერებას მოკლებულ მმართველს სხვა საქმე არ აქვს, თუ არა ჩარევა ყველა წვრილმანში, სოფლისა და ქალაქის, ერისა და ბერის, დიდისა თუ პატარის ყოფასა და ცხოვრებაში.

და მართლაც, მოემატათ საზრუნავი და სამუშაო ისრაელიანთ, მოეფინენ მთელ ქვეყანას და დაიწყეს ნამჯის შეგროვება, რადგან ბზე აღარ ეძლეოდათ, აგურები კი იმდენივე უნდა გაეკეთებინათ. უმოწყალოდ სცემდნენ მათ ზედამხედველები. უკიდურესად გაუჭირდა ხალხს, ამიტომაც შესჩივლეს ფარაონს: „ბზე აღარ ეძლევათ შენს მორჩილთ და მაინც გვეუბნებიან, აგურები აკეთეთო. აჰა, სცემენ შენს მორჩილთ. შენს ხალხს აწევს ცოდვა“ (გამ. 5:16), მაგრამ ფარაონმა კიდევ უფრო გულცივად „მიუგო: ზარმაცები ხართ, ზარმაცები. ამიტომ ამბობთ, წავალთ, მსხვერპლს შევწირავთო ჩვენს უფალს. ახლა წადით და იმუშავეთ! ბზე არ მოგეცემათ, აგური კი იმდენივე უნდა მოგვცეთ“ (გამ. 5:17-18). მაშინ კი განრისხდნენ უხუცესები, შემოუბრუნდნენ მოსეს და უსაყვედურეს: „უთხრეს: უფალმა დაგინახოთ და განგსაჯოთ, რომ შეაძულეთ ჩვენი თავი ფარაონს და მის მსახურებს, და ჩვენს ამოსახოცად მახვილი მიეცით ხელში“ (გამ. 5:21).

მართლაც, მოსესა და აარონის გამოჩენის შემდეგ ებრაელთა მდგომარეობა უცხო მიწა-წყალზე უკიდურესად გამწვავდა. ამ ამბით შეძრულმა მოსემ შეჰღაღადა უფალს: „...უფალო, რატომ უბოროტე ამ ხალხს? რატომ გამომგზავნე? მას შემდეგ, რაც ფარაონთან მივედი, რომ შენი სახელით მელაპარაკნა, ბოროტად ექცევა ამ ხალხს ფარაონი. ხსნით კი, არ იხსენი შენი ხალხი“(გამ. 5:22-23).

და აი, კიდევ ერთხელ შეახსენებს და დაბეჯითებით, თანმიმდევრულად აუხსნის უფალი მოსეს თავის მისიას.

„...უთხრა: მე ვარ უფალი. მე გამოვეცხადე აბრაამს, ისაკს და იაკობს, როგორც ყოვლადძლიერი ღმერთი (ელ შადაი). ხოლო ჩემი სახელი – უფალი – არ გამიმხელია მათთვის. აღთქმაც დავუდევი, რომ მივცემდი მათ ქანაანის ქვეყანას, მათი მდგმურობის ქვეყანას, სადაც მდგმურობდნენ, მევე ვისმინე ისრაელიანთა კვნესა, რომლებიც ეგვიპტელებს ჰყავთ დამონებული, და გავიხსენე ჩემი აღთქმა. ამიტომ ამცნე ისრაელიანებს: მე ვარ უფალი, მე გამოგიყვანთ ეგვიპტელთა კირთებისგან, მე გაგათავისუფლებთ მათი მონობისგან, მე გიხსნით შემართული მკლავით და დიდი სასჯელების ძალით. მიგიღებთ ჩემს ერად და ვიქნები თქვენი ღმერთი. გეცოდინებათ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ეგვიპტელთა კირთებისგან თქვენი გამომხსნელი. მიგიყვანთ ქვეყანაში, რომელიც ფიცით აღვუთქვი აბრაამს, ისაკს და იაკობს. ახლა თქვენთვის მომიცია იგი დასამკვიდრებლად. მე ვარ უფალი“ (გამ. 6:2-8).

## ინფორმაცია

* * *

გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სასწავლებლად 160 ინდოელი სტუდენტი ჩამოვიდა. უცხოელ სტუდენტებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე დახვდა.

საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში წარმატებით ხორციელდება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები, რომლის ფარგლებშიც ბევრი ქართველი სტუდენტი მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას. ბევრი უცხოელისთვის კი, საქართველოში განათლების მიღებაა პრიორიტეტული.

თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ამჟამად, 27 ქვეყნიდან ჩამოსული 700-ზე მეტი უცხოელი სტუდენტი სწავლობს, მათი რიცხვი წელს 1000-ს გადააჭარბებს. საქართველოში, პირველად, თსსუ-ში დაინერგა სემესტრული ჩარიცხვები წელიწადში 2-ჯერ – 21 ნოემბერსა და 5 მარტს.



ეს სიახლე და თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლების მაღალი დონე განაპირობებს სასწავლებლით უცხოელი სტუდენტების დაინტერესებას.

ახლად ჩარიცხულ უცხოელ სტუდენტთა ჩამოსვლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაგრძელდება. მოკლე ხანში, აქ 100-ზე მეტი პირველკურსელი ჩამოვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის გერმანიიდან, ისრაელიდან, მალაიზიიდან, სინგაპურიდან, ირანიდან, თურქეთიდან, ტრინიდატ-ტობაგოდან და ა.შ.

უცხოელი სტუდენტების საპატივცემულოდ თბილისის სახელწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მთელი რიგი საზეიმო შეხვედრები და ღონისძიებებია დაგეგმილი.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ „საქართველოს ეკონომიკის ოლიმპიადა 2011“-ის I, II და III ადგილზე გასულ სტუდენტებს პორტატული კომპიუტერები გადასცა. კონკურსის დანარჩენი გამარჯვებულები ფულადი პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ, მათგან საუკეთესოები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში დასაქმდებიან ან სტაჟირებას გაივლიან.

ოლიმპიადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა და მისი ორგანიზატორი იყო ორგანიზაცია „საქართველოს ეკონომისტთა ფორუმი“. კონკურსში ჩართული იყვნენ საქართველოს ყველა საუნივერსიტეტო ქალაქის – ახალციხის, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, თბილისის, თელავის და ქუთაისის აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები.



„საქართველოს ეკონომიკის ოლიმპიადა 2011“ მიზნად ისახავდა ეკონომიკაში ცოდნითა და ნიჭით დაჯილდოებული სტუდენტების გამოვლენასა და ამ დარგის პოპულარიზაციას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, პროექტის მხარდამჭერები და სპონსორები იყვნენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, თი-ბი-სი ბანკი, პრივატ ბანკი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, ბათუმის საზღვაო აკადემია, ენ-ტური, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გამომცემლობა „შემოქმედი“, „პარნასი“ და სხვ.

# ვინც სწავლებას ბედავს, არასდროს უნდა შეწყვიტოს სწავლა





სწავლა-სწავლება რთული და მუდმივ განვითარებადი პროცესია. მთელი ცხოვრება ადამიანი შეიმეცნებს, თუ ბუნებით შემოქმედია, სიცოცხლის ყოველ ეტაპზე ეძიებს და ეუფლება სიახლეებს. ეს ჩვეულებრივია: რა თქმა უნდა, არც დღევანდელობაა გამონაკლისი.

მე, უბრალოდ, ერთ თბილისურ ამბავს მოგითხრობთ, იმ ფაქტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რაც არც თუ ისე დიდი ხანია დაიწყო თბილისელთათვის: თბილისის მერიის ინიციატივით, 2010 წლიდან ამოქმედდა პროექტი „მოქალაქეთა გადამზადების კურსები" (ინგლისური, კომპიუტერი, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა). როგორც ირკვევა, დღეის მდგომარეობით, ინგლისური ენის სწავლების კურსი 5 850-მა მოქალაქემ გაიარა, კომპიუტერის სწავლების კურსი – 3188-მ. მათ შორის არიან წარმატებულებიც. თბილისის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა – **ოთარ ტატიშვილმა** გვამცნო, ეს ინიციატივა, ასევე, დასაქმების პროგრამასაც გულისხმობს. ეს, რასაკვირველია, ძალიან კარგია, თბილისშიც ბევრია უმუშევარი და ცხადია, ქალაქის მკვიდრთათვის პროექტი სიკეთეს მოიტანს. თუმცა, მიმაჩნია, რომ პროექტი უკვე წარმატებულია, რის საფუძველსაც მაძლევს პროექტში ჩართულ ადამიანთა მოსაზრებები:

*„მინდა, კარგად ვიცოდე ინგლისური, ხშირად სტუმრად მყავს ჩემი შვილების უცხოელი მეგობრები, თანაც ჩემი სპეციალობით ბევრი საინტერესო წიგნია ინგლისურ ენაზე, მსურს, პირადად ვეცნობოდე, სხვების ჩაურევლად..."*

*„ჩემთვის ვსწავლობ, მართალია, დიასახლისი ვარ, მაგრამ ვფიქრობ ინგლისური მალე საკომუნიკაციოდ საქართველოშიც დამჭირდება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩემს შვილებს რომ მივეხმარო, სწავლა გავუადვილო, ინტერესი გავუღვიძო, ცოტაა?!"*

*„სწავლის გაგრძელებას ვაპირებ და ერთ-ერთ საგნად გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი, ამიტომ აუცილებელია ჩემთვის, დავეუფლო ინგლისურს".*

ყველას თავ-თავისი მოტივაცია აქვს, განათლების მუშაკებზე, მასწავლებლებზე რომ არაფერი ვთქვათ... სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, მოწოდების, სოციალური მდგომარეობის ადამიანები ერთად ვუსხედვართ მერხებს და ვეუფლებით „ეი, ბი, სი..." გამოთქმებსა თუ ყოფით საგნებს, ტექსტებს... ვინ უკვე დიდი ბებიაა, ვინ – ახლად კურსდამთავრებული, ვინ ექიმია, ვინ – დამლაგებელი, იურისტი თუ ინჟინერი. მე თავად დიდი ინტერესით დავდივარ №22 საჯარო სკოლაში ინგლისურის კურსებზე და **თამარ ბოკელავაძეს** – ჩვენს ინგლისურის მასწავლებელს ბეჯითი მოსწავლის სწრაფვით შევყურებ თვალებში. ჩემთვის, მასწავლებლისთვის ძალიან სასიამოვნოა უფროსი ასაკის „მოსწავლეთა" კურსის გაცნობა, მეთოდიკა, მიდგომები. არაერთგზის მსმენია, განმიცდია კიდეც, შემოქმედებითი საქმიანობა ორმხრივია: სწავლობ და ასწავლი, იღებ და გასცემ...

*„მასწავლებლობა ჰუმანური პროფესიაა, მეტი სითბო, სიყვარული გაჩნდა ჩვენს სულში* – ამბობს თამარ მასწავლებელი (ჩვენ მას სიყვარულით თამუნიას ვეძახით). *მასწავლებელთა მხრიდან ყოველთვის მოდის თანამშრომლობის ელემენტები, თქვენ მეტი ინფორმაცია გჭირდებათ, რაც თვით გაკვეთილებზე დადებითად მოქმედებს, პოზიტიურია".* აი, ასე ფიქრობს ჩვენი „teacher" და მე კარგად მესმის მისი. ამ პროექტში ჩართულ ყველა პედაგოგს ულრმეს მადლობას ვუხდი, „student"-ების სახელით. მხიბლავს ამგვარი ურთიერთობები, როგორც თბილისს სჩვევია, თბილისისთვის სახასიათო დამოკიდებულება. მადლობა პროექტის შემქმნელებსა და შემსრულებლებს, მადლობა ამ პროექტის დამფინანსებელთ და მასში ჩართულთ.

ჩვენი სწავლება კვირაში სამჯერ, ლამის თერთმეტის ნახევარზე სრულდება. არ არის ადვილი, დღის პირველი ნახევარი იშრომო და მერე, გვიან, მთელი დატვირთვით ისწავლო. თუმცა, მერწმუნეთ, მეცადინეობაზე ყველა მივიჩქარით, იმდენად სასიამოვნოა და შემოქმედებითი.

არაერთგზის გამხსენებია ადრეული ყრმობის ხანიდან მეხსიერებაში ჩარჩენილი კადრები ფილმიდან „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე", სამტრედიის ქუჩაზეც იგივე „გაზაფხულია"!

* * *

**ეთერ ხარაზიშვილი:**

*„გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო თბილისის მერიის მიერ ინიცირებულ პროექტში – „ვისწავლოთ ინგლისური და კომპიუტერი" და გავიარე მასწავლებლის შესარჩევი კონკურსი. მიხარია, საშუალება რომ მომეცა, კომპიუტერი მესწავლებინა უფროსებისთვის. სწავლის ამგვარი ფორმა საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, კომპიუტერის გამოყენება დღევანდელ დღეს აუცილებლობას წარმოადგენს. ამიტომაც არის დიდი დაინტერესება მოსახლეობის მხრიდან. ჩვენი კურსები საკმაოდ ბევრმა ადამიანმა გაიარა და კიდევ ბევრი აპირებს კომპიუტერის შესწავლას. სხვათა შორის, ჩემთან ჯგუფში 60-70 წლის მოსწავლეები იყვნენ და საკმაოდ მონდომებულებიც.*

*მასწავლებელი ხვალინდელი დღის შემქმნელია, ჩვენ მნიშვნელოვანი როლი გვაკისრია და საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა გვაქვს ჩვენი ქვეყნის წინაშე. ყველა მასწავლებელს ვუსურვებ ამ საკმაოდ დიდ „ბრძოლაში" გამარჯვებას.*

*მინდა მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, ამ პროექტის შემქმნელებს, ადამიანებს, ვისთანაც თანამშრომლობა მომიწია. ისან-სამგორისა და დიდუბე-ჩუღურეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს.*

*ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა ჩემს მოსწავლეს ვუსურვებ წარმატებებს როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე პროფესიულ მოღვაწეობაში".*

***თამარ ბარისაშვილი***

*თბილისის №24 საჯარო სკოლის პედაგოგი*



# ვაჟა-ფშაველას 150–ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული

ქუთაისის 38-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა ვაჟას იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული: „ბადალი მთელი ხმელეთისა" (დირექტორი – **ვარდო უგლავა**, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი – **მთვარისა კიკვაძე**).

მოსწავლეებთან ერთად, კვირეულის ფარგლებში (24-28 ოქტომბერი), ქართული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი სწავლების კათედრებმა დაგეგმეს და განახორციელეს სხვადასხვა ტიპის აქტივობა, რომლებშიც ჩაბმულნი იყვნენ მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები.



VII-XII კლასების მოსწავლეთა მონაწილეობით მოეწყო ექსკურსია ჩარგალში (**დალი მილორავა**) ფშავის ბუნების სილამაზემ, ვაჟასეული სახლისა და მუზეუმის დათვალიერებამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. უფრო ღრმად გაეცნენ დიდი მგოსნის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მოსწავლეებმა შეავსეს შთაბეჭდილებათა წიგნი, ესაუბრნენ მუზეუმის დირექტორს **მანანა გოდერძაულს** და ექსკურსიამძღოლ **თამარ რაზიკაშვილს**, რომელიც ვაჟა-ფშაველას შვილიშვილის შვილი აღმოჩნდა, მუზეუმს სამახსოვროდ გადასცეს ქართული ენისა და ლიტერატურის წრის წევრთა მიერ შედგენილი „ლოტო ვაჟას აფორიზმებით"; გადაიღეს ვიდეო და ფოტოსურათები (იქ მყოფ გარემოს დაცვის მინისტრთან ბატონ გოგა ხაჩიძესთან ერთად).

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო, ფშავის ლამაზი მთების ძირში, მდინარე არაგვის პირას გამართული ღონისძიება და დამეგობრება მარნეულის მე-5 საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებთან.

ქართული ენა-ლიტერატურისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კათედრების ერთობლივი მუშაობით გაიხსნა ვაჟა-ფშაველას სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი, მოეწყო მოსწავლეთა ნახატების გამოფენა-დათვალიერება; (**ელისო კიკვაძე**) და ჩატარდა შემოქმედებითი კონკურსი – „და ყველა იმის ხსოვნასა გულს ინთებს, როგორც სანთელსა!"

აგრეთვე, ჩატარდა სასკოლო სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია მოსწავლეთა და პედაგოგთა მონაწილეობით – „ვაჟა-ფშაველას სამყარო". წარმოდგენილ ნაშრომთა შორის იყო საგანთა ინტეგრირებაც. მაგალითად, ბიოლოგია-ქართული – „ჩვენ ბუნებაში ვართ, ბუნება ჩვენშია". პრეზენტაციას თან ახლდა ვიდეომასალა ეკოლოგიურ საკითხზე; იყო კავშირი ისტორიასთანაც: ფშავი და ფშაველები; დამზადდა ხელნაწერი ჟურნალი (**ნინო მეშველიანი, მთვარისა კიკვაძე, სოფიო ხმელიძე**). კვირეულის შემდეგი ეტაპი დაეთმო ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მხატვრულ კითხვას, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები და პედაგოგები. მოსწავლეთა ძალებით შეიქმნა კედლის გაზეთი „ვაჟა – მთა ჩანჩქერდაუშრობელი" (**რუსუდან ბაბუნაშვილი**); V-VI-კლასელებმა წარმოადგინეს სცენები მოთხრობებიდან – „კლდემ მხოლოდ ერთხელ სთქვა" და „შვლის ნუკრის ნაამბობი". კვირეულის დასკვნით ეტაპზე გაიმართა თენგიზ აბულაძის ფილმის „ვედრება" განხილვა. უფროსკლასელებმა „მკითხველის თეატრის" პრეზენტაციაზე, როლების მიხედვით, მხატვრულად წაიკითხეს პოემა „ალუდა ქეთელაური" (**მაკა უჩაძე**).

ვაჟას დღეებს გამოეხმაურნენ დაწყებითი კლასის მოსწავლეები, რომლებმაც პოეტის ცხოვრების ამსახველი მასალა მოიძიეს, ერთმანეთს ფშაური ლექსის თქმაში გაეჯიბრნენ და მგოსნის ძეგლი ყვავილებით შეამკეს (**ნინო ბასილაძე, ლია გიგატაძე, დალი კაკაურიძე**).

მნიშვნელოვანი აქტივობა იყო ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე შესრულებული წერითი დავალებების (ესე, ჩანახატი) მიძღვნა, პრეზენტაცია მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის გამოვლენის თვალსაზრისით (**ირმა ჭუმბურიძე**).

კვირეულის აქტიური მონაწილენი და კონკურსებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით. დიდი მგოსნისადმი მიძღვნილი კვირეულით კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი გადაიშალა სკოლის მატიანეში.

***მარინე უკლება***

## ინფორმაცია

* * *



საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მანდატურის სამსახური მანდატურის საერთაშორისო ასოციაციის წევრი ხდება. ამ გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილეს კოკა სეფერთელაძესა და ამერიკის მანდატურთა ასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გახდა ცნობილი. საქართველოში მანდატურის სამსახურის საქმიანობის გასაცნობად, კავშირების დასამყარებლად და გამოცდილების გასაზიარებლად ამერიკის მანდატურთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი და დირექტორთა საბჭოს წევრები იმყოფებიან. ამერიკელი სტუმრები აღფრთოვანებულები არიან საქართველოში მანდატურების მომზადების დონით და მზად არიან, საქართველოს გამოცდილება გაიზიარონ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, მხარეებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს და ორ ქვეყანას შორის გაცვლითი პროგრამების განხორციელებასა და ერთობლივ პროექტებზე ისაუბარეს.

მანდატურის საერთაშორისო ასოციაცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანას აერთიანებს, საქართველო მათ შეუერთდება და აქტიურად ჩაერთვება სხვადასხვა გაცვლითი პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაში. ქართველი მანდატურები მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ ღონისძიებებსა და ტრენინგებში.

* * *

საქართველოში მყოფი ამერიკის მანდატურთა ასოციაციის წარმომადგენლები თბილისის №1 ექსპერიმენტალურ სკოლას ეწვივნენ, სადაც სკოლის მანდატურებს შეხვდნენ და მათ ყოველდღიურ საქმიანობას გაეცნენ.

დელეგაციის წევრებმა №1 ექსპერიმენტალურ სკოლაში დაათვალიერეს თანამედროვედ აღჭურვილი ჯეოსელის „მომავლის კლასი“, პირველკლასელთა კორპუსი, ნახეს ნეთბუქების დახმარებით მიმდინარე ინგლისური ენის გაკვეთილი პირველ კლასში, რომელსაც პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ჩამოსული ინგლისურენოვანი მასწავლებელი უძღვებოდა.

თბილისის №1 ექსპერიმენტალური სკოლის მაგალითზე, ამერიკელი სტუმრები საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში განხორციელებულ სიახლეებს გაეცნენ, რადგან ამ სკოლაში საქართველოს პრეზიდენტისა და სამინისტროს მიერ ინიცირებული თითქმის ყველა პროექტია დანერგილი.

* * *

ვიზიტის ფარგლებში, ამერიკელმა სტუმრებმა დაათვალიერეს მრავალფუნქციური მასწავლებლის სახლი, სადაც მიმდინარეობდა ქართველ მანდატურთა ტრენინგი ინკლუზიური განათლების კუთხით. ტრენინგის შემდეგ გაიმართა დიალოგი ქართველ და ამერიკელ კოლეგებს შორის, ამერიკელმა სტუმრებმა ყველა შეკითხვას უპასუხეს და რჩევებიც მისცეს დამწყებ ქართველ მანდატურებს.

* * *

ამერიკელმა სტუმრებმა პოლიციის აკადემიაც მოინახულეს, ნახეს ის გარემო, სადაც მანდატურების გადამზადება ხდება როგორც თეორიაში, ასევე სპორტულ ნორმატივებში.

სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ზღვაზე არსებული სამაშველო სამსახურის ბაზა, სადაც მანდატურები სამაშველო საქმიანობას ეუფლებიან.

მათ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურთა მომზადების დონე და, ზოგადად, დადებითად შეაფასეს მანდატურის სამსახურის საქმიანობა.



* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი პროფესიული სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებს შეხვდა და საქართველოს მთავრობის ათპუნქტიანი სამოქმედო გეგმა გააცნო. სამუშაო შეხვედრაზე მინისტრმა ვრცლად ისაუბრა განათლების სისტემაში განხორციელებულ სიახლეებზე, მიმდინარე პროექტებსა და უახლოეს გეგმებზე.

2012 წლიდან იცვლება პროფესიული კოლეჯების დაფინანსების სისტემა, კოლეჯები ვაუჩერული დაფინანსების მოდელზე გადადიან, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას, ახალი პროფესიების დანერგვასა და პროფესიული სასწავლებლების განვითარებას.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული 2011-2015 წლების სამოქმედო გეგმა სრულად მოიცავს განათლების ყველა სფეროს. დიდი ყურადღება აქვს დათმობილი პროფესიულ განათლებას და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების სწავლებას. „პროფესიული განათლების ამოცანაა უკეთესი დასაქმებისთვის შესაძლებლობების შექმნა, რაც უნდა ემყარებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებას, არჩევანის თავისუფლებას, მეწარმეებთან თანამშრომლობას“ – ნათქვამია დოკუმენტში.

პროფესიული სწავლების ხელშეწყობა და განვითარება სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია – თანამედროვედ აღიჭურვა და განახლდა პროფესიული კოლეჯების ინფრასტრუქტურა; გადამზადდნენ პედაგოგები; ამოქმედდა ახალი სახელობო პროგრამები; შეიქმნა პროფესიული კოლეჯის მასწავლებლის სტანდარტი.

პროფესიულ კოლეჯებში მიღებული განათლებით სტუდენტებს დასაქმების რეალური საშუალება ეძლევათ. სამინისტროს ინიციატივით, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა დასახმარებლად, ქვეყნის მასშტაბით, საინფორმაციო ცენტრები შეიქმნა, სადაც დაინტერესებული პირები ყველა საჭირო ინფორმაციას იღებენ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა ქართველ მეცნიერებს მეცნიერების საერთაშორისო დღე მიულოცეს და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების კონკურსის გამარჯვებულებს სერტიფიკატები გადასცეს.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2011 წლის სტაჟირების საგრანტო კონკურსის ფარგლებში, უცხოეთის წამყვან კვლევით დაწესებულებებში, კვალიფიკაციას 28 ახალგაზრდა მეცნიერი აიმაღლებს. 40-წლამდე მკვლევარები მსოფლიოს 15-მდე ქვეყნის, მათ შორის – აშშ-ს, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, შვედეთის, იტალიის, საბერძნეთის, ტაივანის, თურქეთის, ბალტიისპირეთის უმსხვილეს სამეცნიერო ცენტრებში გაემგზავრებიან და რამდენიმე თვის განმავლობაში იქ მიმდინარე კვლევით საქმიანობაში ჩაერთვებიან.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სამეცნიერო წრეებში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მიზნით, არაერთ საგრანტო კონკურსს ახორციელებს. ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მკვლევარების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში, დაეხმაროს მათ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში, გამოცდილების შეძენასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

შეხვედრაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა სტაჟირების კონკურსის შედეგებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ პროგრამის წარმატებულობას მასში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობის ზრდაც ადასტურებს. სტაჟირების ფარგლებში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ახალგაზრდა მკვლევარის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბებისთვის, მეორე მხრივ კი, საქართველოში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისთვის.

ფონდი ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების კონკურსს 2009 წლიდან ახორციელებს. ახალგაზრდა ქართველი მეცნიერების უცხოეთში მივლინება სახელმწიფო ბიუჯეტიდან 250 000 ლარამდე დაფინანსდება.

* * *



მასწავლებლის სახლში არსებულ თანამედროვე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ილია ვეკუას სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლის უფროსკლასელებს ფიზიკის გაკვეთილი ჩაუტარდათ. გაკვეთილის მიმდინარეობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე კოკა სეფერთელაძე გაეცნო.

უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია გერმანულმა კომპანია PHYWE-მა მასწავლებლის სახლს საჩუქრად გადასცა. ლაბორატორია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის დანადგარებს აერთიანებს, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე ექსპერიმენტის ჩატარების საშუალებას იძლევა. კომპანია PHYWE-ის მიერ წარმოებული ლაბორატორია მსოფლიოში ერთადერთია, რომელსაც მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ექსპერიმენტის ჩატარების სახელმძღვანელოც მოჰყვება, ეს სახელმძღვანელო დანადგართან დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას იძლევა.

მრავალფუნქციური ლაბორატორია ორიენტირებულია სწავლების მეთოდებზე და სამეცნიერო პროექტების განხორციელებაზე. PHYWE-ის ლაბორატორიები მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში გამოიყენება, საქართველოში პირველად დაინერგა.

უნიკალურ ლაბორატორიაში ფიზიკით დაინტერესებულმა მოსწავლეებმა მარტივი ფიზიკური ცდები ჩაატარეს და უახლესი დანადგარების შესაძლებლობებს გაეცნენ.

2010 წლიდან, პროგრამა „აინშტაინის“ ფარგლებში, ტექნიკური დარგების განვითარებისა და სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების დონის ამაღლების მიზნით, საჯარო სკოლების საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვის პროცესი მიმდინარეობს.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე საჯარო სკოლას საბუნებისმეტყველო საგნების სასწავლო ლაბორატორია გასულ წელს გადაეცა. ანალოგიური ლაბორატორიები, საქართველოს მაშტაბით, უკვე 200-მდე სკოლაშია გადანაწილებული, ახალი სასწავლო წლიდან კი ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის თანამედროვე ლაბორატორიებით ყველა სკოლა ეტაპობრივად აღიჭურვება.

სკოლების ლაბორატორიებით აღჭურვის პარალელურად, მიმდინარეობს მასწავლებლების გადამზადების პროცესი. მასწავლებლის სახლი მუდმივ რეჟიმში მასპინძლობს საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს და მათ მაღალი დონის პროფესიონალების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს სთავაზობს.

# თბილისი – ოცნების მგოსნების ქალაქი

თბილისის 64-ე საჯარო სკოლის V² კლასის მოსწავლეებმა, 31 ოქტომბერს, ჩაატარეს მუსიკალურ-მხატვრულ-ლიტერატურული საღამო სახელწოდებით – „თბილისი – ოცნების მგოსნების ქალაქი“. ღონისძიება მიუძღვნეს დედაქალაქს და „თბილისქალაქობის“ დღესასწაულს. გარდა იმისა, რომ მეხუთეკლასელებმა თავიანთი ნახატები გამოფინეს, მოწვეულ სტუმრებს საკუთარი შემოქმედებაც უჩვენეს – შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, საესტრადო-მუსიკალური ნაწარმოებები და წარმოადგინეს თეატრალური მინიატურები. ორიგინალურად და საინტერესოდ წარმოაჩინეს თავიანთი ცოდნა თბილისის ღირსშესანიშნაობათა შესახებ – ბავშვები ყვებოდნენ იმძეგლების ისტორიასა და მნიშვნელობაზე, რომლებიც დიდი პლანით ჩნდებოდა სცენაზე.

წარმატებით ჩატარებულმა საღამომ მოწვეულ სტუმართა მოწონება დაიმსახურა.

***მაია ბარბაქაძე***
*64-ე საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი*



სპორტი

# ღვინიაშვილის ახალი ასპარეზი

ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი რუისელი **ბექა ღვინიაშვილისთვის** (81) მორიგ ბენეფისად იქცა იმის მიუხედავად, რომ ამჯერად, ჩვეული ოქროს ნაცვლად, ბრინჯაო მოიპოვა, თუმცა აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები – ბექა ტურნირამდე ერთი კვირით ადრე გახდა 16 წლის, იქ კი 3-4 წლით უფროსებთან უწევდა პაექრობა. თან ეს მისთვის სადებიუტო ტურნირი იყო ახალგაზრდებში, მანამდე, რიგით შეჯიბრებებშიც კი, არ ეჭიდავა ამ ასაკში და მისი წაყვანა იქაც რაღაც სპონტანურად, ბოლო დღეებში გადაწყდა, ამდენად, ამ ტურნირისთვის მიზანმიმართულად არც ემზადებოდა.



შეგახსენებთ ღვინიაშვილის წლევანდელ ჩინებულ სეზონს – ჭაბუკთა ნაკრებში მოიგო მსოფლიოსა და ევროპის პირველობა, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. რაც არანაკლებ საყურადღებოა, სამივე შეჯიბრება დროის მცირე შუალედში – სულ რაღაც თვენახევრიან მონაკვეთში ჩატარდა, ახალგაზრდა სპორტსმენმა 17 ორთაბრძოლა გამართა და უკლებლივ ყველა წმინდად მოიგო! ჭაბუკებში სამივე ტურნირის მოგება მხოლოდ რუსმა **ირინა დოლგოვამ** (44) მოახერხა, თუმცა არც ასეთი ჩინებული სტატისტიკა ჰქონია და არც ახალგაზრდებში უჭიდავია. ერთი სიტყვით, ღვინიაშვილი თავის ასაკში გამორჩეული იყო და ახალგაზრდებში მისი გადასვლა დროის საკითხი გახლდათ. ასაკის გამო მწვრთნელები ჯერ ერიდებოდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ბოლოს მაინც გარისკეს, სხვა თუ არაფერი, გამოცდილებას მაინც მიიღებსო. მსოფლიო პირველობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ კეიპტაუნში ჩატარდა და ღვინიაშვილი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე დადგა – მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო მეოთხედფინალში და ისიც უფრო გამოუცდელობით თუ ახალგაზრდული სიჩქარით, დანარჩენი კი კვალავაც წმინდად მოიგო. იმ წაგებულ შეხვედრაშიც სოლიდური მეტოქე ჰყავდა – ევროპის წლევანდელი გერმანელი ვიცე-ჩემპიონი **მაქს მუნსტერბერგი**, რომელიც ჩინებულად ჩაერთო ტურნირში – პირველივე წრეში რუსი ევროპის ჩემპიონი **ხასან ხალმურზაევი** გადათელა და კონტინენტის პირველობის ფინალში წაგებისთვის მწარედ იძია შური, ისე გააბითურა. მერეც კარგად იჭიდავა, თუმცა ბოლოსკენ ძალები აშკარად არ ეყო და, საბოლოოდ, მეხუთეზე დარჩა, ღვინიაშვილმა კი შედეგით გაუსწრო. ის გერმანელთანაც იგებდა – მეტოქე ორჯერ გააფრთხილებინა, ერთხელ კი იუკოზე დააგდო. შეხვედრის დამთავრებამდე 8 წამი რჩებოდა, როცა მორიგი იპონის ჟინით ატანილმა ქართველმა იქით დაუშვა შეცდომა და თვითონ დაეცა სუფთაზე. მოგებული შეხვედრის წაგება საწყენია, მაგრამ სხვა შეხვედრებში ბექას ასეთი შეცდომა არ დაუშვია. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაშიც სერიოზული მეტოქე ჰყავდა – უნგრელი **კრისტიან ტოტი**, რომელიც მასზე ცოტათი უფროსია, მაგრამ ბევრად გამოცდილია, რადგან სისტემატურად მონაწილეობს სალიცენზიო ტურნირებში უფროსთა შორის და წლეულს, სეზონის დასაწყისში, თბილისშიც იჭიდავა. ის ევროპის წლევანდელი პრიზიორია ახალგაზრდებში, მაგრამ ღვინიაშვილი მასზე მთელი თავით მაღლა იდგა და წმინდად მოუგო.

ღვინიაშვილის შესაძლებლობები ქართველებმა ადრევე ვიცოდით, ახლა კი მასზე უცხოელებიც ალაპარაკდნენ. „16 წლის ქართველი ტალანტი“ – ასე მოიხსენია ევროპის ძიუდოს კავშირის ოფიციალურმა ვებგვერდმა. ცხადია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დიდი მწვერვალების დაპყრობას და საამისოდ დიდი შრომაა საჭირო, მაგრამ თავად ფაქტი მაინც სასიამოვნოა. უცხოელები განსაკუთრებით იმას აღნიშნავდნენ, რომ ის ასაკით მეტოქეებზე ბევრად პატარა იყო. ყურადღებას იქცევს ბექას საჭიდაო სტილიც, რომელიც წმინდად ქართულია – ჭიდაობს ახლოდან, ქამარში ჩავლებით, თან ფიზიკურადაც ძლიერია და მასზე ბევრად მაღალ მეტოქეებსაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის. შინ თუ გარეთ, ყველა თანხმდება იმაზე, რომ ეს ბიჭი შორს წავა, ოღონდ ასევე ერთსულოვანია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საამისოდ თავაუღებელი შრომაა საჭირო. სასიამოვნოა, რომ ქართულ საჭიდაო სახეობებში, ბოლო წლებში, ტალანტები არ გველევიან, ისეთები, რომლებიც გამორჩეულად დიდ წარმატებებს აღწევენ და თავიანთ ასაკში უდავო ლიდერებად გვევლინებიან: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** და **დავით მარსაგიშვილი** – თავისუფალ ჭიდაობაში, **ავთანდილ ჭრიკიშვილი** – ძიუდოში, ახლა კი ბექა ღვინიაშვილი ამავე გუნდში... ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ამ ბიჭებმა თავიანთ ნაკრებებში ფენომენალურ შედეგებს მიაღწიეს, დუბლით ამთავრებდნენ სეზონს და წლიდან წლამდე მათ დამარცხებას ვერავინ ახერხებდა. იმედია, ეროვნულ გუნდებშიც ასეთივე წარმატებით გააგრძელებენ გამოსვლას.

დავუბრუნდეთ ისევ კეიპტაუნში ჩატარებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობას, სადაც ჩვენმა ნაკრებმა ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვა – ღვინიაშვილის გარდა, პრიზიორები გახდნენ: ახმეტელი **გიორგი მესაბლიშვილი** (55) და გორელი **ლაშა შავდათუაშვილი** (66). შავდათუაშვილი ევროპის წლევანდელი ჩემპიონია და მსაჯთა უცნაური გადაწყვეტილება რომ არა, იქნებ დუბლიც შეესრულებინა. ყოველ შემთხვევაში, კარგად იყო მომზადებული და მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა, მეოთხედფინალში კი, კორეელ **დონგკიო ლეესთან** შეხვედრისას, მსაჯებმა მასზე მოინდომეს ახალი წესის გამოცდა. ეს რომ არა, შავდათუაშვილი იქნებ ევროპის მესამე ჩემპიონი გამხდარიყო, რომელიც მსოფლიოს ფინალში გასვლას მოახერხებდა და ვინ იცის, ევროპელთაგან ერთადერთს მიეთვალა დუბლი.

# ელიტრაუნდის ზღვარზე

თურქულ ესქიშეჰირში მიმდინარეობს ევროპის 19-წლამდელ ფეხბურთელთა პირველი შესარჩევი ეტაპი, რომელშიც წარმატებით გამოდის საქართველოს ნაკრები. ჩვენებმა პირველ შეხვედრაში პოლონელი თანატოლები 3:1 დაამარცხეს, მერე კი თურქებს დაუზავდნენ – 1:1.

პოლონელებთან მატჩში თავიდან მეკარე დაწინაურდა, თუმცა **გიორგი ჭანტურიას, დავით ხოჭოლავას, ვაკო ყაზაიშვილისა** და სხვათა კარგი თამაშის წყალობით, ანგარიში თავის სასარგებლოდ შემოაბრუნეს. ამ შეხვედრაში „ბარსელონას“ სკოლაგამოვლილმა, ამჟამად კი ჰოლანდიური „ვიტესის“ წევრმა ჭანტურიამ თითო გოლი და საგოლე პასი მიითვალა, დანარჩენი გოლები კი ხოჭოლავასა და **ლაშა პარუნაშვილის** ანგარიშზეა.

თურქებთან შეხვედრა ძალზე პრინციპული იყო არა მოლოდ იმიტომ, რომ მასპინძლებს ვეთამაშებოდით, არამედ იმის გამოც, რომ აქ ჯგუფიდან გამსვლელის ვინაობაც ირკვეოდა. თამაშიც მძიმე, დაძაბული და უხეში გამოდგა, ანგარიში კი ჩვენებმა გახსნეს – დანიური „ორჰუსის“ წევრმა **დავით სხრიტლაძემ** ჭანტურიას საჯარიმო დარტყმას დაამატა. თუმცა მანამდე მსაჯებმა ჩვენების კიდევ ერთი გოლი არ ჩათვალეს, თურქებმა კი ანგარიში დაახლოებით 20 წუთში გაათანაბრეს. ამის შემდეგ ანგარიში არც შეცვლილა, თუმცა ჩვენთვის ცუდი ის მოხდა, რომ ტურნირზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო ჭანტურიამ, რის გამოც ლუქსემბურგთან დარჩენილ ბოლო შეხვედრას დააკლდება. ამ მატჩში ჯგუფიდან გამსვლელის ვინაობა გაირკვევა. იმედია, ჩვენები ლუქსემბურგის უსუსტეს გუნდთან ჭანტურიას გარეშეც მოიპოვებენ გამარჯვებას.



# ერევნული მედლები

ბოლო დღეებში თავისუფალი სტილით მოჭიდავე მოზარდებმა ზედიზედ ორ ტურნირში იასპარეზეს ერევანში და ორივეგან წარმატებით. თავდაპირველად, ჭაბუკთა ასაკის გუნდი გამოვიდა იქაურთა სახელოვანი მწვრთნელის – რაზმიკ კარაპეტიანის მემორიალში და 8 სპორტსმენიდან 7-მა მედალი მოიპოვა, აქედან – 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. სასიამოვნოა, რომ ორ წონაში – 42-სა და 76-ში ქართული ფინალები გაიმართა. პირველში აჭარელმა **ირაკლი მხეიძემ** ამბროლაურელი **ლაშა აბუთიძე** დაამარცხა, რომელიც თბილისში ვარჯიშობს და დედაქალაქის სახელით გამოდის, მეორეში კი საგარეჯოელმა **ლევან ბოჭორიძემ** რუსთაველ **საბა ჩიხლაძეს** მოუგო. ამათ გარდა, ჩემპიონები გახდნენ: აჭარის წარმომადგენელი **რამაზ ზოიძე** (46) და რუსთაველი **ნიკა მელიქიშვილი** (100), მესამეზე **ტარიელ გაფრინდაშვილი** (63) გავიდა, რასაც გუნდის მწვრთნელი **ელგუჯა ქობესაშვილი** მსაჯთა არაობიექტურობით ხსნის. მწვრთნელი, ასევე, არბიტრთა მიკერძოებით ხსნის გუნდის ერთადერთი მონაწილის – ზუგდიდელ **გიორგი ბოხუას** უმედლოდ დარჩენასაც, რომელმაც მესამე ადგილისთვის იჭიდავა.

ამ ტურნირიდან რამდენიმე დღეში, ისევ ქობესაშვილის ხელმძღვანელობით, ქართველები კვლავ ერევანს ესტუმრნენ, ოღონდ ამჯერად – ახალგაზრდული ნაკრები. ეს წინა ტურნირზე ბევრად სოლიდური შეჯიბრება იყო, რომელიც სომხეთის ეროვნულ გმირად შერაცხული, ყარაბაღის ომში დაღუპული ერევნის ყოფილი მერისა და სომხეთის ჭიდაობის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის – ვაჰან ზატიკიანის სახელობისა იყო. მასპინძელთა რამდენიმე გუნდის გარდა, ისეთი ძლიერი საჭიდაო ქვეყნების გუნდები ასპარეზობდნენ, როგორიც ირანი და დაღესტანია. საქართველოდან ორი გუნდი მონაწილეობდა – თბილისისა და აჭარის, თუმცა გუნდების შემადგენლობაში დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების წარმომადგენლებიც იყვნენ. ჩვენებმა, ამჯერადაც, წარმატებით იასპარეზეს: თბილისელებმა 7 მედალი მოიპოვეს – 3 ოქრო და 4 ბრინჯაო; ბათუმელთა მონაგარი 2 ოქრო და ამდენივე ბრინჯაოა. თბილისელთაგან ჩემპიონები **ლევან ქელეხსაშვილი** (66) და **იაკობ პეტრიაშვილი** (84) გახდნენ, მესამე საპრიზო ადგილებზე კი **გიორგი რევაზიშვილი, აბრამ ჯაბაური** (ორივე – 60), **ირაკლი ჩერქეზიშვილი** (84) და **ალექსანდრე გაფრინდაშვილი** (96) გავიდნენ. ბათუმელთაგან ოქროს მედლები **შოთა ფარტენაძემ** (58) და **გურამ ახობაძემ** (96) მოიპოვეს, მესამეზე კი **გიორგი ლეჟავა** (50) და **ირაკლი მოსიძე** (66) გავიდნენ. ამათგან რამდენიმე ფალავანი უკვე საკმაოდ წარმატებულია და ასაკობრივ ტურნირებში დიდი გამარჯვებებიც მოუპოვებიათ. მაგალითად, შოთა ფარტენაძე ჭაბუკებში ევროპის მესამე პრიზიორია, ირაკლი მოსიძე – მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების მედალოსანი... საინტერესოა, რომ ალექსანდრე გაფრინდაშვილი ზემოხსენებული ტარიელ გაფრინდაშვილის ძმაა, რომელიც ჭაბუკთა ნაკრებში მოხვედრის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია.

*რუბრიკას უძღვება* ***ირაკლი თავაძე***

# ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა, I-IV ტომი, – 11 ლარი
- ნოდარ დუმბაძე, I-V ტომი, – 13 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი, I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი, I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა, I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი, I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია,
  I, II, III, VI, VII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი, I-V ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე, I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე, I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი, I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე, I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი, I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

### ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

### გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად



საყმაწვილო ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიები“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი



საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საქართველოში!
მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი
თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი



# „ახალი განათლების“ წიგნის თარო

## მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

## შემოგვიერთდით!







მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

### „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი



- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა ბედნიერება
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერიხ მარია რემარკი - სამი მეგობარი
- შოდერლო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები ახალი
- შტეფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა ახალი
- მაინ რიდი - კვარტერონი ახალი

### „რა არის რა“ ერთი ტომი – 11 ლარი



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K